



სახელმწიფო ნაციონალური

კრებული

№ 2



ტბილისი

სრუმა რ. მ. როტიანანცისა | თემ. Т. М. Ротиниашви № 41.
1904

జ ౦ ౬ ౧ ౫ ౬ ౯ ౦

83-

I	గార్డిం డా ఈ ల్యేజీసి - సంఘ. గ - మిస	3
II	ప్రార్థనలూ	5
III	తాగ్యోసి మిసెన్జెల్లి (తార్కమాని) - ప్రాసాదిం	6
IV	సామి భేష్యేలొ (గూగ్యో) - ఎడ. సాంక్షాంశ్చింభిలొసి	8
V	మంటాల్యూర్రి (తార్కమాని) — ప్రాసాదిం	10
VI	ఖ్యాతి తావ్-గాఢాసాంగ్యాల్లి స్టేన్ట్ లీప్యేర్లిసి క్లాబ్‌మార్కో (తార్కమాని) — శ. ర్యాంపింశ్చింభిలొసి	17
VII	“కార్తింగ్ ప్రార్థనలు” — డ. నామింశ్చింభిలొసి	38
VIII	ప్రుణ్ణు (క్లాబ్‌మార్కో) — ఎడ. సాంక్షాంశ్చింభిలొసి	40
IX	గాథ్రింపులు గపిస్కాపులొసి డా లొక్కుమాని — గ. ట్యూషింప్రుప్పిలొసి	47
X	క్రెచ్చిప్పులు (మ్యాంపులొసి) — ఎడ. జ్యమిసంప్రేళిలొసి	49
XI	క్రపి-క్రమిం క్రె (ఫ్రాన్కుల్లిండాన) — ట. సాంక్షాంశ్చిలొసి	56
XII	గాసార్టిటింబి — నమిన్సంబి	59





ସେହାମାତ୍ରକାଳୀନ ବାକାତ୍ମକାବ୍ୟାଳି

କରୁଥୁବାଳି



ବ୍ୟାଲିକାଳି

କ୍ରମିକ ଓ. ଡ. ଉତ୍ତରାବ୍ଦିନାନ୍ତରୀକ୍ଷଣ | ତିପ. ତ. ମ. ରୋତିନିଅନ୍ତା ନଂ 41.

1904



Дозволено цензурою. Тифлисъ, 11-го Июня 1904 г.

ဒုက္ခရွှေ လဲ ပါး.



အက္ခတိစာ ပျော်နှင့် ပို့စွဲ
«နေမတာရီး မိုးက မိုး၊
ရာမာမံ့က၊ ဗြိုလ်ထ ဂာမတော်း၊
ရွှေ့ အဲ မာလော်စာ မိုးမိုး၊

ဂုဏ်သွေ့မှု တာနှင့် မိုးမိုး၊
မိုးမိုးမိုး ရာမာမံ့ရွှေ့မိုး၊
သွေ့မိုးမိုး၊ မိုးမိုးမိုး
ရွှေ့မိုး၊ ရာမာမံ့ရွှေ့မိုး၊

မေမာက်က ဦးသွေ့မိုး၊
နေမတာရီး—လော်မိုး၊
ဂျောက် ဂာရာမံ့သို့ ရောက်၊
ပျော်ပျော် အဲ့မိုး-မိုးမိုး!»

— «နှေ့ရာရာ ဗြိုလ်၊ ရာလာဒ်!»
မျှော်စာ ဖျော်စွဲ ထာမာ:
— «နေမတာရီး မိုးရွှေ့ ဂွာ့ပြား၊
မိုးမိုး မိုးမိုး မိုးမိုး မိုးမိုး၊

ახლა მოთბება ქვევანა,
 მზე მოგვიყენს ოქროს სხივებსა,
 ცა ნამს დაგვაურის გულ მკრდზე,
 მარგალიტს, ფერად მმივებსა.

გაიფურჩქნები საამოთ,
 დაიწებ აუგავებასა,
 ბულბულიც ისევ მოგნახავს
 და გიძღვერს ქებათ-ქებასა!»

სოლ. გ - ძგ.





ପ୍ରତିବିନ୍ଦୁ.

ଯଦୀଲୁ-ମାମାଳମା ତ୍ରିଲଙ୍ଗଲାମ
 ମିନ୍ଦିଲଙ୍ଗଶିଳ ଶ୍ରୀଦେ ଗାନ୍ଧୀତ୍ୟେ.
 ତିବ୍ରିଳେ ଫରିଲ ରନ୍ଧା ଦାଦଗା
 ବାରତ୍ୟୁଷେବି ବେଳାତ ଗାମନକ୍ଷେପି-
 ଲି କ୍ଷୁବ୍ଧାତ. ରନ୍ଧେଶାପ ମତି-
 ବ୍ୟେବି ମାତ ଶ୍ରୀଦେଶ ମିଲ୍ଲାକ-
 ନ୍ଦେନ, ତ୍ରିଲଙ୍ଗଲାମେବେ ଦା-
 ଲାନ ଶ୍ରୀମିନ୍ଦାତ. ରା କ୍ଷିନାତ?
 ରନ୍ଧାର ଗାଦାରହିନାତ ବାରତ୍-
 ଯୁବି? ବନ୍ଦିଲେ ଦେଦାଲୀ ତ୍ରି-
 ଲଙ୍ଗା ଶ୍ରୀଦେଶ ଚିନ ମିଠାଚେ ଗାନ୍ଧା. ମାମାଳମା ଅମ ଫରିଲେ
 ନିଶ୍ଚାରତ୍ତିତ ଗାମନେଚିନ ଶ୍ରୀଦେଶାନ ଜ୍ଵରତି ବାରତ୍ୟୁଷି ଦା ଶ୍ରୀ-
 ନ୍ଦେନ ଦେଦାଶ ଚନ୍ଦ୍ରଚିନ୍ତେ.

ଦେଦାଲୀ ଗାତ୍ରରିନଦା ଦା ମାଲ୍ଲେ ଦାଦର୍ତ୍ତନଦା ମେନର୍କେ
 ବାରତ୍ୟୁଷି ଚିନ୍ତାଯୁବାନାତ. ବନ୍ଦିଲେ, ରନ୍ଧେଶାପ ଉପାନୀଶବ୍ଦେଲି
 ବାରତ୍ୟୁଷିଚ ଚିନ୍ତାଯୁବାନା, ମାମାଳୀ ତ୍ରିଲଙ୍ଗଲାମାପ ଗାନ୍ଧା ଦେଦାଲେ.
 ଏହି ଗାଦାଶ୍ରେଷ୍ଠ ତ୍ରିଲଙ୍ଗଲାମାପି ତାତ୍ପରୀତି ପ୍ରେରଣା ବାରତ୍ୟୁଷ-
 ବି କ୍ଷେତ୍ର ବାଦିଗିଲୁକୁ, କାନାମ ମତିବାବ୍ୟେବି ଶ୍ରୀଦେଶତାନ ମିଳିଫଳ-
 ଦେନ.



თაგვის მხსნელი.



რთხელ პატარა მდინარე დიდ წყიმების შემდეგ მეტის მეტათ ადიდდა. ისე ადიდდა, რომ წყალი კალაპოტიდან გადმოვიდა და ნაპირებზე მინდოორ-ველებს მოედვა.

ამ წყალ-დიდობამ დიდი ზარალი მოიტანა; უფელათერი წალეკა, შენობები მოიტაცა. წყალს

მრავლად მოკერნდა მთელი ოჯახის მოწყობილობა: ჭურჭლეულობა, ბეღლები, სახლის ავეჯი, თივის ბულულები, პირუტყვებიც-კი, რომლებსაც ვეღარ შეეძლოთ წყალთან ბრძოლა.

დაინახეს, რომ სხვათა შურის, მდინარეში მოცურავდა გედი, რომელსაც ბამბასავით თეთრ ზურგზე რაღაც შავი ლაქა ლჩანდა. შორიდან ვერავინ გაარჩია თუ ეს ლაქა რისგან იყო. როდესაც გედი მო


ახლოვდა, ნახეს რომ მის ზურგზე თავი შეეფარებინა ცოცხალ თავის.



გაოცებული ხალხი სიხარულის კიუინით მიეგება ჯულ-შემატყიფარ, გამჭრიას ფრინველს. გედი და თავი თრივე მშეიდობიანათ გამოვიდენ ნაპირს. თავის მაშინვე გაიქცა ახალი სოროს საძებნელათ.

ტახო.

(თარგმანი)



სამი გეჭედი

(იგავე)



აღდადის ხალიფას ფული დასჭირდა.
 ვეზირმა ურჩია, იმ ქალაქის ერთი
 მდიდარი ურია მოეწვია და საუბარ-
 ში ისეთი მახე დაეგო, რომ ურია
 შიგ გაბმულიყო და თავის დასახსნე-
 ლად ფული მიეცა.

ხალიფამ იხმო ურია და კეითხა:
 — ქვეუანაზე რომელი რჯულია
 უძეთესიო? — გულში-კი ასე კოტექტობდა: თუ თქვა
 ურიისაო, შარს მოვუდებ — ჩემს რჯულს რადა კვერ-
 ბო! თუ თქვამა კმადისაო, ვეტყვი — მაშ ურიისას რად-
 ღა მისდევ?

ურიამ ხალიფას სიტყვა მოისმინა და ასე მოახ-
 სენა:

— ხელმწიფო, იყო ერთი კაცი სამი შვილის ჰატ-
 რონი, რომელსაც ერთი საუცხოვო პეჭედი კქინდა.

ბ ჭედს ისეთი თვალი ესყა, მისი სწორი ქვეუანაზედ არ მოიპოვებოდა. სამივე შვილი ამ ბეჭედის მონატრული იყო და მამას სთხოვდა მისთვის ეჩუქებინა.

მამამ რა ნახა რომ ბეჭედი სამსავე შვილს თავის-თვის უნდოდა, მოიწვია ოქრომჭედელი, მისცა პეტედი და შეუკვეთა: „ორი სწორედ ამრსთანა ბეჭედი გამიგეთე და თითოში ამის მსგავსი თვალი ჩასვით.“ განგლო დრომ და ოქრომჭედელმა სამი ისეთი ბეჭედი მიართვა, რომ იმათში პატრონი თუ გაარჩევდა ნამდვილს.

მამამ აავისი შვილები იდუმალ თითო-ဘითოდ იხმა და უველას თავისი ბეჭედი მისცა. უველას ეგონა ნამდვილი, მამის მონაცემი ბეჭედი მე მაქვსო, მართალი-კი მამის გარდა არავინ იცოდა. ხელმწიფელ, რჯულის საქმეც ეგეთია. რჯული სამია: მოსესი, ქრისტესი და მაკედისა. მხოლოდ ზეციერმა მამამ იცის რომელია მართალი; ჩვენ-კი, მის შვილებს, თითოსა გვივრია ვითომც უკეთესი რჯული ჩვენა გვაქვსო.

ხალიფამ რა ნახა, რომ ურია მახში ვერ გააბა, ვერდარა უთხრა და მშვიდობით დაითხოვა.

ალ. სარაჯიშვილი.

მოლაღური.



ატარა ქეთინო მალიან შეწუხებული
იყო. რა ექნა! უველავერს აუსრულებ-
და ბიძიას, მავრამ საუვარელ მოლა-
ღურს ვერ გამოუშვებდა გალიდან.
რის ვაი-ვაგლახით, სულ თითო გრო-
მობით მოაგროვა ერთი აბაზი, იუი-
და საგანგებო ლამაზი მოლადური და ახლა ბიძია ეუბნება
გაანთავისუფლეო.

— არ შემიძლიან, არა და არა! იძახდა ქეთინო და
აღელვებით ნიკაპი უცახცახებდა, თვალებზე ცრემლები მოს-
დიოდა... მე ისე მიუვარს, ბიძიავ, მოლადური, ისე, ისე რომ!..

— ცოდვაა. თავისუფლება ურჩევნია!.. ცდილობდა ბი-
ძია ქეთინოს დაჯერებას.

ქეთინო მწუხარებით სელებს შლიდა და ვერ გაეგო გა-
ლიდან მოლადურის გამოშვება რით იყო უკეთესი.

— განა სეზე ჯდომა სჯობდა ამ ჩემ ლამაზ ოთახს?

ან ბუდე რა არის? ერთი მუჭა სავსი, ბალახი და ფოთოლი, სხვა არაფერი. მერე სტელი რაღაა? ერთი მითხარით რა გემო აქვს ჭია-ღუას—თუნდ მაღიან სუქანიც იყოს? საძაგლობაა და სხვა არაფერი... ან ბუზი რაგაა? განა პირში ჩაიდება იმისთანა უგემური რამე?.. აქ-კი თბილა, სუფთაობაა, მოკრიალებულია .. გალიაში მუდამ აქვს: წეალი, რე, პურის მარცვლები, მაქარი, თეთრი პური... რა გინდა სულო და გულო რომ აქ არ იყოს!.. უკელაფერი საკმაოთ არის.

მოლადური მაინც ნაღვლიანათ იყო.

— რა დაგემართა, ჩემო უკითელავ? ეკითხებოდა ქეთინო.

მოლადური ერთი თვალით შეხედავდა და აიბუზებოდა. და როდესაც ქეთინო ხელს გაუშვერდა, მაშინ-კი აიბურმგნებოდა და მწრეთ უკბენდა თითხე.

— რა საძაგელი რამა უოფილხარ! ტირილით ეუბნებოდა ქეთინო.

ფიტუ!.. ფიტუ!.. თითქოს დაცინვით დაიმტვენდა მოლადური. ეტეობოდა ის მაღიან გულ-ნაკლულათ იყო, სწეინდა რომ ამგვარ სალხის ხელში ჩავარდა.

ქეთინომ ჯერ ბევრი იტირა, იტირა... და მერე ბაღში წავიდა... მშვენიერი დილა იყო... უკელა ბუჩქები და ხეები მწვანეთ გაუთთლილიუკუნ. ახლათ ამწვანებული ფოთლების სუნი თავისრეუს ასხამდა ქეთინოს.

— რა მძღვნიერებაა! ძეჭვირა ქეთინომ და გაექანა

ხეივნისკენ, უცბათ... დიას, უცბათ შედგა ერთ ადგილს,
თითქო შეძით გაქვავდათ...

ხეივნის ბოლოს მოდიოდა ჩაფიქრებული, იცით ვინა? ქეთოს მოლადური... სწორეთ საოცარი შესედულობა ჰქონდა! თავზე დიდ-კალთებიანი ჩალის ქუდი ეხურა. ტანზე პიჭავი ეცვა, რომლის სახელოებში ფრთები გაუეო ისე, როგორც ჩვენ ხელებს გავურით ხოლმე.

— ჩემო ევითელავ! დაუკირა ქეთინომ და გადისარსა-რა-რა ლამაზი ხარ!

* მოლადური ერთაშათ შედგა, მოუბრუნდა ქეთინოს და ამაუათ უთხრა:

— მე სრულიათაც შენი ევითელა არა ვარ, მე ოჯახის მარჩენელი ვარ! დამანებე თავი, უიმისოდაც შეწუხებული და ნადვლიანა ვარ.

— რა დაგემართა, ჩემო სულიკო? არ ეშვებოდა ქეთინო — რათა ხარ ეოველთვის მოწყენილი, რათა მებენ? რათა ხარ ხოლმე აბურძენული?

მოლადურიმ ღრმათ ამოიოხრა და უთხრა:

— ქალბატონო, — ბიძა-თ ვენმა განა არ გითხრათ უველავერი? არ იცით ახლა რა დროა? გაზაფხულია! ნამდვილი გაზაფხული! მე და ჩემმა ცოლმა ბუდე გაგაკეთეთ...

— ახ! ვიცი, ვიცი თქვენი სასაცილო ბუდეები როგორიცაა! გააწევეტინა ქეთინომ.

— ვითომ იცით?.. თქვენ არაუერი არ იცით, არა გა-

გეგებათ-რა... თქვენ თვალში ეგ ართვერია, ჩვენთვის-კი ეს
სამძობლოს კუთხეა... ჯერ ერთი ეს-რომ საქუთრათ ჩვე-
ნი გამოთხველია, მეორე-ის, რომ ჩემმა ცოლმა შიგ პეტრ-
ები დაღო, მესამე-გქვსი ბარტეი ჩვენ ორივემ გამოვჩეკეთ...
ხუმრობა-კი ნუ გვინია! მერე მოვალეობის სახი-
დოს ძოვნაზე სრულდას: ბუზებს, კოლოებს და სხვათ ვარუ-
ლობდით. ბუზების დაჭერა აგრე ადვილი-კი ნუ გვინია!..
ჩვენ ხეს ქვემ ერთ ბიჭს მახე დაეკო, შიგ ბლომათ ჰურის
ნამცუცები დაეხარა და თითონ წასულიერ.—მე ვიყიქრე:
მოდი ჩემს ბარტებს ამ ჰურის ნამცუცებს წავუღებ-მეთქი!
როგორც-კი შევევი თავი, ბაც! დაიძახა და ბადე თავზე
გადამეფარია... გავძრი, გავფითრდი... საძაგელმა ბიჭმა მამინ-
ვე მტაცა სელი და გამიტაცა ქალაქში და იქ, ქალბატონო,
თქვენ მიუიდეთ და ჩამსვით გალიაძი... ვაი, ჩემს უბედურ
თავს!.. რა დღეები არ გამოვიარე! — გამოთქმა მნელია!.. ჩე-
მი ბუდე, უღონო და უბატონოთ მიტოვებული ბარტეუ-
ბი!.. ვინმე რომ შეურაცხუთვა მიაუენოს გამომსარჩლებულიც
არავინა ჟებათ... დედა მათი მარტო სულ დაივანტებოდა!..
საბრალომ, საჭმელიც უნდა უმოვოს ბარტეებს, მიეალერ-
სოს, ჩააჩუმოს, წვიმისა და ქარიძხალშიაც მფარეველობა გა-
უწიოს და მე-კი აქ უნდა ვიჯდე ასე უსაქმოთ, ვიმდერო
თქვენ დროს გასატარებლათ და შევძლე თქვენგან მოცუმულ
შექარსა და მურს!.. არა, არ მინდა ასეთი ცხოვრება! მე
მინდა ვიმუშავო, მინდა ჩემ ბარტეებს ვაჭამო, ვასვა, ფრენა

ვასწავლო. შემიძლიან უკელა ეს გავაკეთო და მე-კი აქ ასე უსაქმოთ ვზიგარ გალიაძე! ვაი ჩემს უბედურებას, როგორ უნდა აიტანოს უკელა ეს ოჯახის მარჩენელმა!

ქეთინო ნაღვლიანათ ჩაფიქრდა.

— საბრალო უკითელავ, შენ მამაჩემსავით ოჯახის მარჩენელი უოფილხარ!

— მაშ რა გეგონა!.. აბა, მამაშენი რომ წაგართვან, რასა იქ?

მოლადური დადონებული იდგა, ფეხებს ატეაბუნებდა, უძტევენდა და ქეთინოს უკრადლებას არც-კი აქცვდა.

— თუ აგრეა, რატომ ახლავე არ გაფრინდები? დაეკითხა ჩაფიქრებული ქეთინო.

— იმიტომ, რომ მე თავ-მოუვარე ვარ; მოლადური მართალია პატარა ფრინველია, მაგრამ მაინც თავის პატივი იცის... არ იყადრებს, რაც საკადრისი არ არის. თქვენ რომ ფული გადისადეთ, მიუიდეთ, მეც უნდა სამაგიერო გადავისადოთ. რითი შემიძლიან სამაგიეროს გადახდა?.. აბა ერთი მითხარით, უკელაზე უფრო მრიელ რა გინდათ?

— მე დედოფალა მინდა... უკელაფრით შემქული, თავით ფეხამდის მორთულ-მოქანებული... მხიარულათ შესძახა ქეთინომ.

— შეხედეთ ამ არე-მარეს!.. დაუსტვინა მოლადურმა და ჩაფიქრდა. — იქნება მოხერხდეს რამე — განაგრძო მან პატარა სანს შეძეგ — უკელა ეს ბუჩქები ჩემგან დავალებული არიან:

მე გამორებ მათ ჭიებს, რომლებიც უფრხებენ ფოთლებს და უწერნიან ღეროებს... ისინი მიძველიან. ღედოფალას ტანი თქვენ თითონ შეჰქერეთ და თივით გაავსეთ, ტანისამოსს ბუჩქები მოგიტანენ... აი უურეთ...

ქეთინომ მოისედა და გაოცდა!

იასამანმა ერთბაშათ თავისი უგავილი გაფურჩქნა დიდათ და დიდათ და ისე ჩამოეკიდა კენწეროებზე, თითქო ღედოფალას სოსანი კაბააო, მისი კოკორები-კი თითქო ფეხსაც-მელებიაო. იასამანის ბუჩქის ქვეშ სომ შროშანას ისე გადა-ეძალა თავისი უგავილები, რომ იტუოდით ღედოფალას შლია-პა არისო.

— იჟ! რა მშვენივრობაა! — დაიუკირა ქეთინომ და მი-ვაოდა უგავილებს მოსაკრეფათ, — რა საოცარი და სასიამოვ-ნო ამბავია! მადლობელი ვარ, მადლობელი, ჩემო სული-კოფ!.. წამოიძახა სისარულით გაწითლებულმა ქეთინომ.— აი ახლა-კი გაძლევ თავისუფლებას!.. თქვა თუ არა ეს სიტყვე-ბი, უგავილებმა დაიწეუს შრიალი, იასამანი სისმოვნებით, ნაზათ ნელ ნელა ახმაურდა. მოლადურმა მოიხადა თავისი დიდ-კალთებიანი ქუდი, გაიძიო პიჯაყი, გაშალა ფრთები და სისარულით გაფრინდა მაღლა, ცის სივრცეში... უცბათ ბრახ!..

* * *

ქეთინო ჩამოვარდა საშინელი სიმაღლიდან და უცებ...

თვალები გაახილა. ის უჯდა მაგიდას, სელები თავ-ქვეშ ამო-
ედო, გშერდით უდგა გალია, რომელშიც მოლადური და-
ღონებით გამოიურებოდა.

თბილი, ნათელი და მხიარული დღე იუთ. და ფანჯრიდან
შემოდიოდა მშვენიერი გამაცოცხლებელი ჭავერი. ნიავი ნა-
ზათ არსევდა იასამანს. თითქოს იმისი უფაფილები ქეთინის
ალერსით ბაღში იწვევდა.

ქეთინომ გაიწვდინა სელი და გაბატო გალის კარი.

— ჩემო სულიყო! მიმართა მოლადურს ქეთინომ — გმად-
ლობ იმ ზღაპრისათვის, რომელიც შენ მე მიღმი მიამბე...
გაფრინდი შენ ბუღეში, შენ ოჯახში, ბარტებთან... შენ ხომ
იმათი მარჩენელი ხარ... ჩემი შენ არა გმართებს-რა...

მოლადური ერთბაშათ მოცოცხლდა. ტანში გაიძალა,
მის მძიებივით თვალებში უსომო სისარული გამოიხატა. მივარდა გადებულ გალის კარებთან, რამდენჯერმე უნდობ-
ლათ მიისედ-მოიხედა... ერთბაშათ თოვის ტუვისავით გა-
მოფრინდა გალიდან, აემვა მაღლა, მაღლა ისე, როგორც
ქეთინომ სისარში ნახა, დიდონ ცაცხვის თავზე შეჰქრა
კამარა და მერე გაჰქრა ცის სივრცეში.

— ჩემო სულიყო! მშვიდობით!.. ჟეჟევირა ქეთინომ, მაგ-
რამ ის ისე მსიარულათ მიეჟურებოდა თავის ღვახისაკენ,
სადაც მის მხრუნველობას მოკლებული ცოლი და ბარტებ-
ბი ეგულებოდა, რომ რაღა ქეთინის ჯავრი ექნებოდა.

ტასო.

(თარგმანი)

ბუს თავ-გადასახალი.



(სენტილერის ზღაპარი)

მთელი დამე მოუსვენარმა ბუშ უძილოთ გაატარა; დაურინავდა ჯეთ-იქით, აფთხობდა საბრალო ჩიტებს, რომლებსაც ბუდეებში შეეფარებინათ თავი. ჩიტის სამი პატარა ბარტყე ხომ მთლიანათ გადაულაპა, ერთი მინდვრის თავიც გადისროლა თავის გაუმაძლარ მუცელში. კურდლელსაც კარგა ხანსა სდია, მაგრამ ვერას გახდა, უურ-ცქვიტინა ეკლიან ბუჩქში ისე მოხერხებით შეიმალა, რომ მისი გამოთრევა ბუშ ვერ შეიძლო.

დილამდის ასე ნადირობაში გაატარა და განთიადისას გამამდარმა და ნადირობით დადალულმა ბუშ დაიწუო დასამინებლათ ბნელი ადგილის მებნა.

ბევრი იარა — ცოტა იარა და ბოლოს ერთ დიდ ბებერ ფიჭვის ხეში მიაგნო გამოფუდრულს, რომელიც ნისკარტ-მაგარა კოდალას კარგა ხანია თავისთვის გაეკეთებინა; აქ შებმანდა გამამდარი ბუ-ქალბატონი, ერთი სამჯერ მიტრიალ-მოტრიალდა, აწეწილი ბუმბულები ნისკარტით გაისწორა და სამილეთ მოემზადა.





— აი, აქ დავიძინებ არსებიათ, არავინ შემაწუხებსო — წაილაპარაკა და მართლაც თვლება დაწუებინა.

ამ დროს ბუსმ წვერი ამოჲეო. ტექში ფრინველებმა გა-
მოიღვიძეს, დაიფთხიალ-დაიჭირებიკეს და საჭმლის საძოვ-
ნელათ ჭალა-მინდორ-ტუებს მოედვენ. ბუს-კი ნებივრიათ ჩა-
ეგინა, მაგრამ დიდხანს არ დასცალდა ეს ნებივრობა: უცებ,
მას ნისკარტან, რაღაც უსიამოვნო ბზუილი გაისმა. ბუს
თვალები გააჭირტა და დაინახა, რომ უუღუროში უუტკრები
დაფრინავდენ. იმათმა უსიამოვნო ბზუილმა საძინლათ გა-
აბრაზა, გაჭერა თავისი მაგარი, კაუჭა ნისკარტა და ორი
უუტკარი ზედი-ზედ გადაელაპა. მაგრამ სხვები მაინც მოს-
ვენებას არ აძლევდენ და უფრო ხმა-მაღლა გაბზუოდენ:

— რა ბოროტა რამა ხარ, ავი სული! მე უსამართ-
ლოვ, რას ერჩოდი ჩვენ საცოდავ დაიგის, რომ უდროვოთ
წუთისოფელს გამოასალმეთ? ჩაუბზუილეს მიგ უურში ფშტბ-
რებმა.

— მაშ რას დაბზუით და მილს მიძლით? აქედან და-
მექარგეთ, თორემ კველას გადაგელაპავთო. უპასუხა გაბრა-
ზებზულმა ბუს.

— ჩვენ უსაქმურათ-კი არ დავბზუით. დაიბზუილეს უუტბ-
რებმა — სკაში მალიან კიწოობა შეგვექნა და დედამ გამო-
გვხავნა ადგილის დასათვალიერებლათ. სადაც ასალი «ნ ა-
კარი» ადვილათ მოთავსდება უნდა ადგილი ამოვირჩიოთ.
ამ უუღუროს დასათვალიერებლათ მოვედით, მაგრამ არ გა-

მოგვადგება; შესასვლელი მეტათ დიდია და მის ამომსებას ბევრი ძრომა და ღრო დასჭირდება. ფულუროც ძალიან ჰატარაა, თორემ შენი მანდედან გამომევება დიდი რამ არ იუ, შეგისხდებოდით ფრთებ ქვემ და ისეთ დღეს დაგაუენებდით, რომ სულ კუდით ქვას გასროლინებდით. ახლა-კი წავიდეთ, ამსანაგებო, დაანებეთ მაგ ბებერ ბუსტუნას თავი, რამდენც უნდა იმინოს.

უუტკრები გაფრინდენ. ბუმ კარგა ხანს იბუსტუნა იბრაზა და მერე ისევ ჩაემინა. არ გაუვლია ათიოდ წამს, რომ ბუს უურებთან ხელ-ახლა გაისმა უვირილი.

— გუგუ! გუგუ!

— აი, კანდაბა შენ თავს, ვიღაცა ხარ! — გაბრაზებით წამოიძახა ბუმ და წამოუუდა ფულუროს შესავალთან. ხედავს დასკუპულა მის წინ, ხის ტოტზე, ნაცრისფერი გრძელ-კუდა ფრინველი და, რაც მალი და ლონე აქვს გაიძახის — გუგუ! გუგუ!

— ვინა ხარ, რომ აგრე ღრიალებ? დაეკითხა ბუ.

— მე ვარ, მმობილო, გუგული!

— რა ვინდა? რას ღრიალებ?

— შვილებს ვუძახი.

— სადა ვეავს შენი შვილები? რატომ შენთან არ არიან?

— ჩემთან იმიტომ არ არიან, რომ რაც კვერცხები დავდე სულ აქეთ-იქით დავარიგე, სხვის ბუდეებში. სულელ-მა ჰატარა ჩიტებმა გამომიჩიქეს, გამისარდეს და დააფრინეს.



ახლა დავდივარ და ვუძახი, მაგრამ ჩემი შეიღები უერს არ
მიგდებენ, ახლოს არ მექარებიან -- დაიგუგუნა გუგულმა.

— ახა შენხე, ზარმაციო, მუქთა ხორბვ! რატომ შენ

თითონ არა ჩრდი შენ შვილებს? ეოველი ფრინველი თითონ იკეთებს საქუთარ ბუდეს და ჩრდის შვილებს. აი, გთქვათ მე, უკელა ბოროტ ბუს მეძახის, მაგრამ შვილებს კი მე თითონ ვზრდი; ვაჭმევ, ვასმევ, ფრენას და საჭმლის შოვნას ვასწავლი და მხოლოდ მაშინ დავანებებ ხოლმე თავსა.

— ეჭ, ჩემო ნათლი-დედავ, რაც იმათ წვალება უნდათ! ვერაფრით ვერ გააძლობს პატრონი. მთელ დღეს უნდა იურინო და იმათ გასაძლობათ ჭია-მატლებსა და ბუზ-ტეტელებსა სდიო. არა გეთაუვა, სადა მაქვს ამაების თავი! მე თავისუფლება მიუვარს, მხიარულობის მოუკარული ფრინველი ვარ; უნდა უკელგან ვიარო, უკელა ფრინველების ლხინსა და ქორწილში ვიქეიფო! აბა სადა მცალიან ბარტეების სალაბლოთ?

— მაგიტომ არის რომ უკელა შენ გლანძდავს! უპასუ-სა ბუმ—მე-კი ახლა თავი დამანებე, შენი ებედობის თავი არა მაქვს. თუ დმერთი გწამს მორს წადი და იქ რამდენიც გინდა იუვირე, აქ ძილს ნუ იიძლი, თორებ ჩემი მაგარი ნისკარტის ამბავი ხომ გაგიგონია? სულ ლუკმა-ლუკმათ გაქცევ.

გუბულს გულში მიში მიუცა. ერთი-კი მიაძახა: «მე-ხი-კი დაბეუა მაგ გასივებულ თავზეო» და გაფრინდა. აბა იმისთანა მაგარ ნისკარტას, როგორიც ბუ არის! — გუბული რას აჯობებდა!

უძილობით გაბრუებული ბუ ისევ უუღუროში შებრუნ-

და, დახუჭა თვალები და სამილეთ მოქმედადა. მავრამ მისი დაძინება აკრე ადვილი არ შეიქნა. უცებ იმისთანა მხიარული სიძღვრა გაისმა, რომ მიღი მოუხერხებელი იუო. გამოიხედა ბუმ ფუღუროდან და ხედავს, რომ ფიჭვის ტოტებზე შემომსხვარა მოელი გუნდი ტეის ჩიტებისა და გააქვთ ქოვილ-ხივილი.

— აქედან დაიკარგეთ, თქვე უბედებო! რას ღრიალებთ, ვერა ხედავთ, რომ ვიძინებ? ძეუბუზდუნა ბუმ ჩიტებს.

ჩიტები ჩააცერდენ ფუღუროდან გადმოუკედებულ მასინჯ ბუს; მის ხვედასაებ გასიებულ თავს, სამასსაროთ გამოჭერილ უშველებელ ბრიალა თვალებს და უფრო ხმა-მაღლა მოჰქმნენ სიცილ-ჭიჭიქს.

— რა უმნო და სასაცილო შესახედავი ხარ, შე უბედურო, უპასუხეს ჩიტენების. არა, ახლა რადროს მიღია? თვალებს რო აკრე აჭერა — გაიხედე ცაზე მზე რა ბორცინვალეთ ანათებს! ეკელა ფრინველებმა და მხუცებმა რამდენი ხანია გაიდგიმეს. ჩვენ ვისაუზმეთ კიდეცა და ახლა ვიძღვილით. გემრიელ საუწმის შემდეგ ნახე რა მხიარულათა ვართ. ან კი რა გვაქვს სადარღველი; მშენიერი დარია. საჭმელს საღამოსაც ბევრს ვიძოვით. რადროს მიღია, შე ერუბუნავ! განა დამე-კი ვერ გავძღვებით მიღითა?

— თქვენი საქმე სხვა არის! წაიბუსებუნა ბუმ — მე მოული დამე მრომაძი გავატარე და ახლა მოსვენება მინდა.

— ორ, მეხი-კი დაგუცა მაგ ხედა თავზე. რბო! მრო-





მაშიო! შენმა სიცოცხლექმ, შენ რომ მუშა-ქალი ბძანდები! აგერ საცოდავი კიოტა, მწუხარებისაგან რომ ბოლო მო-კუნტვია, ვინ შეჭამა მისი სამი ბარტე, თუ არ შენ? ამას ეძახი შრომას, შე ბებერო კუდიანო?

— მე შევჭამე თუ სხვამ, ეგ თქვენი საქმე არ არის. ახლავე გამოვალ ამ უუღუროდან და მე თქვენ გაჩერებთ ჩემი მაგარი ნისკარტის მალას.

— დიახ, როგორ არა! როდესაც შეს ბრწყინვალეთ ანათებს, ჩვენ შენი არ გვეძინიან — უპასუხეს ჩიტებმა. კარგათ ვიციო რაც მალა გაქვს. შენ ხომ დღე ვერაფერს სე-დავ, კიდეც რომ გამობრძანდე ვერას დაგვაკლებ; ეგ უძნო ნისკარტი რამდენიც გინდა აკარუნე, დანასვით-კი ვერ დაგვინახავ და! ჩვენ დამე გვეძინიან შენი, ნელ-ნელა, რომ მოვკეპარები ხოლმე და საძიმარი ბრიალა თვალებით ჩვენ ბუდეებში იჭირები, აი მაძინ ვერას დაგაკლებთ.

— რა უურს უგდებთ, დებო! ჩამოერია ლაპარაკში ბე-ლურა — მოდი ერთი კიდევ ვიმღეროთ, რაც შეგვეძლოს ხმა მაღლა, ეგება მაგ ბებრუხანას მთელ დამეს არ დეძინოს, თორემ თუ ახლა მიღით გაძრა, ამაღამ სულ ამოგვწევის ეველას.

ბუ საძინლათ გაბრაზდა. თუმცა მზეს ბრწყინვალეთ გა-ჭირნდა კაშკაში, მაგრამ მაინც დააპირა გამოფრენა, რომ თავ-გასული ჩიტები დაფუთხო. ამ დროს, მის ბედათ უშველებელმა ქორმა დაუქროლა მოჭიდვის ჩიტებს და და-

აფთხო. იმათ შიშით ბუ სრულიად დაგვიწყდათ და ფაცხა-
ვუცხით დაბურულ ტურქენ გაფრინდენ.

ბუმ ქორს მადლობა გადაუხადა, ისევ უეღუროში შეფ-
რინდა და ღრმათ ჩაემანა.

მაგრამ დიდხანს არც ახლა დასცალდა ჩვენს ბუსხუნას
მილი. გაისძა რაღაც ძლიერი კაბაკუკი, თითქო ხეს ცულ-
სა სცემენო. ისევ გადმოეუყდა გულ-მოსული ბუ და ნახა,
რომ მისკუპია ხეს შავი რაღაც ფრინველი, თავზე მოწითა-
ლო ქოჩრიანი და თავის გრძელ, მაგარ ნისკარტსა სცემს
ხეს და გააქვს ბაგი-ბუკი.

— ვინ აკაგუნებ მანდა? იკითხა ბუმ.


— მე ვარ ხეგავუნა-კოდალა.

— რათ აკაგუნებ და მილს მიუთხობ?

— როგორ თუ რათა? ჭაბა მინდა! სედავ რამსიგრძეთ
გავხეთქე ხის ქერქი! ამ ქერქებ ქვემ დაჭიანებული ხეა და
იქ-კი მრავალი ჭა-მატლები ბუდობენ. მე იმათ ჩემი წვე-
ტიანი ნისკარტით ვარულობ და ვსაზრდოვობ.

— მე რომ შენი ნისკარტის ბაგი ბუგი მილს მიუთ-
ხობს? შეღრიალა ბუმ.

— მაგის მეტი ჯავრი ნუ მომცეს ღმერთმა — უზასუხა
კოდალამ — ეველას თავის მუცლის ჯავრი აწუხებს. შენმა
თავის გახეთქამ, შენი გულისათვის გემრიელ ჭიებს თავს
დავანებებ! აგერ, აიმ გვერდებედაც ვატუობ უუტუროს, აბა
ერთი დავაკაკუნო.



კოდალასაც ბუსაებ მაგარი და წვეტიანი ნისკარტი აქვს
და ამიტომ ბუძ ვეღარაუერი უთხრა, ვაი თუ მაჭობოსო
და მაღაუნებურათ ეურს უგდებდა კოდალას ნისკარტის ბაგი-



ବୁଦ୍ଧି. ବୁଦ୍ଧି ଠିକ୍ ଖର୍ବୁନ୍ଦିନା, ବୁଦ୍ଧି ହୃଦୟ, ମାଗରାମ ଶେଷ ଧାରିନା,
ଇନ୍ଦ୍ର ମାଗରାତ ରା ମେହରୀଜୀବଲାତ ପାଇସମନ୍ଦର କରିଦାଲାସ ନିକବର-
ତୀଳ ପାଗି-ବୁଦ୍ଧି.



როდესაც მთელი სე მოიარა კოდალაშ და ჟელგან და-
ათვალიერა დაუუტუროებული ადგილები, გაფრინდა და ბუ-
მაც ცოტას სანს მოისვენა, მოიკალათა და მიღი დაპირა,
მაგრამ მალე ისევ გამოაფხისლეს. უცებ ვიდამაც თავზე რა-
ღაც წევტიანი ჩაუკაუნა.

— ვაძე, მეტკინა, რომელი სარ, რომ აგრე იცემები.
შექვეირა ბუმ.

— მე ვარ, ნათლიავ, უვავი! ბნელაში ვერც-კი შეგამხ-
ნიე.

— რა გინდა ჩემგან?

— შენგან რა უნდა მინდოდეს! ისე შემოვიხედე ფუღუ-
როში, იქნება ჩიტის ბარტები იუვენ შემაღლულები და პი-
რი ჩავიტყბანურო-მეთქი, და რაკი შენ აქ უოფილხარ, ჩემო
სვინავ, აბა რაღას დასტოგებდი! შექველია აღარა გადაგრ-
ჩებოდა რა! მე და შენ საჩეუბარი არა გვაქს-რა, ერთმანეთს
ვერას დავაუვედრით, ისევ სხვაგან გავურინდები.

უვავი რომ გაფრინდა ბუმ კარგა სანს იტრიალა თავის
ბუნაგში. თავი გაბრუებული ჭიონდა, სულს მლიეს ითქვამ-
და. ბოლოს დაშვიდდა და ჩაეძინა.

ერთ საათს კარგა ეძინა, მაგრამ მერე ისევ გამოაღვი-
ქეს; ვიდაც ნისკარტზე რაღაც რბილს უსვამდა. ბუმ გაბრა-
ზებით დაიფრტუნა, გაასილა თვალები და რას სედავს:
თეთრი ციუვი გადმოსეულა ფუღუროს შესხვალში და თა-

ვის ბამბუქა ქუდს ბუს ნისკარტზე უცაცუნებს. გაბრაზებულ-მა ბუმ ისე გააღო ნისკარტი, თითქო ციუვის მთლიანათ გადაულაპა უნდაო, მაგრამ ციუვი უცებ მოტრიალდა და თავისი წევტიანი კბილები დააკრიტა.

— რა გინდა? რისთვის მოსულხარ? — შეღრიალა ბუმ
— ჩემ ბუდეშიაც აღარ მასვენებთ?!

— როგორ თუ შენ ბუდები? — უახუსა ციუვმა - შენი ხევდა თავის გახეთქამ შენი აძენებულია. ჩემი ბუდეა და არა შენი. მე აქ გამოვზარდე შვილები. აქამდის სხვა ადგილებ-ში ვასეირნებდი, ასლა მინდა ისევ აქვე მოვიუგანო, თორებიქ, სადაც ასლა არიან, იმათი დატოვება არ შეიძლება. და-მექარუე აქედან, შე ბებერო მუქთა ხორავ, შეჰეირა ციუვ-მა — განა როდის გიცხოვრია ამ ადგილს, რომ ასლა მო-გიყალათნია შეი!

— შენ თითონ დამეკარგე აქედან! ეკვ არის რადა, და-გიჯერე! რითი დაამტკიცებ, რომ ეს შენი ბუდეა.

— აი რითი! — უთხრა ციუვმა და დაუწეო ფუდუროში ერთ ადგილს თხრა. მალე ციუვმა იქიდან ამოთხარა რამ-დენიმე თხილი და ქაქალი. — ხედავ, აქ ჩემი სარჩოა შენახუ-ლი! ჩემს მეტმა არავინ იცის. რომ აქ ბევრი თხილია და-მალული. შე ერუნუნავ! ასლა ხომ მიხვდი რომ ჩემი ბუ-დეა. ჩემა დამეკარგე აქედან!

— არ წავალ, — შეღრიალა გაბრაზებულმა ბუმ — შენ როგორა ბედავ, რომ აქ დიასახლისობ და ბუდიდან მაგდებ!

მე გამოძინება მინდა და არაფრის გულისათვის აქედან არ-
სად წავალ. გამეცილე, თორემ კლანებით სულ თავპირს
დაგაფაჭვი და ნისკარტით ლუკმა-ლუკმა გაქცევ.



ბუ და ციუვი საომრათ მოქმედებ. ბუ გადაბრუნდა და თავისი მოქაუტებული ნისკარტი და ბასრი ბრჭყალები მოიმზადა. ციუვმაც კბილები დაკრიტა, წინა თითები გამოიშვირა და დააპირა, რომ ბუს ძიგ გატესტილ-ბრიალა თვალებში სცემოდა. ამ დროს უკრ-მახვილ ციუვს, რაღაც ფანური შემოესმა. ის სწრაფათ მოტრიალდა და მიწს გადმოიხედა.

— ეჲე, ქალბატონო, შენთან საომრათ აზარტ მცდლიან. ამ ფუღუროსკენ კვერნა მობრძანდება და მე, სწორე გითხრათ, არაფრათ მიაშება მისი პირისპირ შესვედრა. — მიამასა ციუვმა, ამოხტა ფუღუროდან, საჩქაროთ გაექნა სის წეროსაკენ და გავიდა ისეთ წვრილ ტოტზე, სადაც კვერნას გასვლა ვერ შევძლო.

არც ბუს იამა ამ სტუმრის წვევა, კარგათ იცოდა მისი სიმარჯვისა და ბასრი კბილების ამბავი. მილისათვის ვიდა იფიქრებდა, მეტი გზა არ იუ, ბუს თბილი ბინისთვის თავი უნდა დაეწებებინა.

გამოფრინდა ჩვენი დიდ თავა ქალბატონი და გაუდგა გზას, მაგრამ ბრწეინვალე შეემ ისე დაუბნელა თვალები, რომ დიდხანს ფრენა ვერ შესძლო და შემოჯდა ერთ პატარა სის ტოტზე. მისი ფრთების ფართსუნზე ჩიტები დაჭთხენ, გაიძალენ მთელ ტექში და მაღვე იმ არე-მარეზე უგელა ფრინველებს აცნობეს, ჩვენს ბინაზე, ჩვენი მტერი ბუ მოფრინდო.



ଶ୍ରୀନା ପ୍ରତିବନ୍ଦିତ ଅଲ୍ଲାଧିକରଣରେ, ଶୁଣୁଣିଲାଇ ମେରିଦଳନ ମନ୍ତ୍ରାଙ୍ଗନ୍ରୀଣିରେ: ମନ୍ତ୍ରାଙ୍ଗନ୍ରୀଣିରେ, ମନ୍ତ୍ରାଙ୍ଗନ୍ରୀଣି, ମନ୍ତ୍ରାଙ୍ଗନ୍ରୀଣି, ମନ୍ତ୍ରାଙ୍ଗନ୍ରୀଣି, ମନ୍ତ୍ରାଙ୍ଗନ୍ରୀଣି ଏହା ଶ୍ରୀନା ମନ୍ତ୍ରାଙ୍ଗନ୍ରୀଣି ମନ୍ତ୍ରାଙ୍ଗନ୍ରୀଣି ମନ୍ତ୍ରାଙ୍ଗନ୍ରୀଣି; ମନ୍ତ୍ରାଙ୍ଗନ୍ରୀଣି ଶ୍ରୀନା ମନ୍ତ୍ରାଙ୍ଗନ୍ରୀଣି ଶ୍ରୀନା ମନ୍ତ୍ରାଙ୍ଗନ୍ରୀଣି — ମନ୍ତ୍ରାଙ୍ଗନ୍ରୀଣି ଏହା ଏହା ଏହା.






— ერთი უკურეთ დებო, ამხანაგებო, ამ სასაცილო მანინჯ ფრინველსა! ეს ბოროტი ბუ არის, რომელიც დამღამეობით ძოსვენების არ გამალევს და მრავალ დიდისა და პატარა ჩიტებს იჭერს და სჭამს. ნათლიდედის ვახლავართ, როგორ კი კითხსთ? თვალი-კი გამოგებრუნა, აქანდე! ახლა კი ჩეენ სეღმი ხარ, შე ბრუცუსა; დღე ხომ ვერაფერს ხედავ და არა შეგიძლიან-რა და აი, სწორეთ ახლა ამოვიურით შენ ჯავრის! ბუმბულს მთლათ გაგაცლით და თვალებსაც დაგთხრით გაიძახოდენ ჩიტები.

უბედურ ბუს მართლა შემოესიენ გარს ჩიტები და ისე კორტინდენ და წიწნიდენ, რომ არ იცოდა სად დამალულიურო. ხან ნისკარტს აკაზუნებდა, ხან თვალებს აბრიალებდა, მაგრამ ვერას ხდებოდა. ამ ხმაურობაზე მოფრინდენ უფრო დიდი ფრინველებიც: უვავები, ჭილუვავები, კირკიტები, კაჭკაჭები და ჩაერიენ ბრძოლაში.

ბუმ იგრძნო რომ ვერას გახდებოდა და გაქცევა გადასწუვიტა. გაჭირვებით ააფართხუნა აწეწილ-დაწეწილი ფრთები, დაიძრა ადგილიდან და გაფრინდა დაბრუნულ ტუისაკენ. პატარა ჩიტები კიდევ დიდხანს მისდევდენ კივილ-ხივილით და ფრთებზე ბუმბულებს აწიწნიდენ, ბოლოს დაანებეს თავი და დაბრუნდენ თავიანთ ბინაზე.

ბუმ იფრინა, იყრინა და ბოლოს მიუვალ ტექში შეაფარა თავი ერთ ნაძვს, რომელიც მლიერ ქარს ვადაქტება. ნაძვი ისეთ რიგათ იუო გადატეხილი, თითქოს საგანგებოთ სამსლავი გაუკეთებიათ; ქეშმაც ერთი დიდი ქვა დაუხვდა, ჩვენს განდევნილ მოვზაურს.



აი ამ ქვისა და ნაძვის მოწეალებით ბუშ იპოვა ისეთი მიუვალი კუთხე, სადაც არც ერთი ფრინველი არ მიფრინდება და არ დაუფიტხობს მილს.

შეფართხუნდა ბუ თავის ახალ თავშესაფარში, დღისანს ისწორა აწეწილ-დაწეწილი ფრთები, სიამოვნებით შეიხვანხვალა და ისე დაიძინა, რომ დაღამებამდე არ განმრეულა.

ს. ციციშვილი.



„პატარა ცოცოს“.



ერ კუკური გაუშლელო,
 პირმშოვ დედის, გასაზრდელო,
 ჰეცა სხივით მოგეგება,
 ფიანდახათ დაბლა მდელო!

გამოცანა უცნაური,
 პაწაწყინა მოგზაური
 ციურ ჯილდოთ მოელენილხარ
 დედის ალერს მონაწყური!..

თეით მთრთოლეარე, რაღაც შეებით,
 „ნაინასთან“ შეთანხმებით
 შენც ქლურტულებ გაუგებარ,
 საიდუმლო ციურ ხმებით...

ხარ იმედით ხორც-შესხმული,
 უნაკლულო, ყოვლად სრული;
 შენს დასაწყისს თუმცა ეხედავთ,
 მაგრამ ეინ უწყისს დასასჩული?

ეჭ, კოკობო ეარდო ველის,
 ცხოვრებაში რა მოგელის?
 უფრო მასე ეძრწი, ვაი თუ
 შესხერპლი გახდე შენც სიბნელის!

ამ ნეტარ დროს გაიხსენებ,
 ტანჯვის ფიალს რომ იგემებ;

ପ୍ରାଲଳାସ ଡାକ୍ତରାୟେ ଉଚ୍ଚୋର୍ଜେଷ୍ଠିଲେ ଶଲ୍ଲେବ
ଦା ଶେନ୍ତପ ମାଶିନ ନନ୍ଦ ଗ୍ରେଟିଂ.

ମୋମାଙ୍ଗାଲୀ ଗାୟଜାପୁଣୀ ଶର୍ମିଲୀ
ଥର୍ମିଲାଲାସ ମୋଗତକ୍ଷେତ୍ରେ ତ୍ୟାତ କ୍ଷେତ୍ର-ହାରିତୁଲାଙ୍କା...

ମାଘରାମ ଜ୍ୟେଷ୍ଠ ଏଲ୍ଲୁମ... ଦା ଅମିତାବ
ଅନ ଶେର୍ପିକରିତାମ ଉମାନ୍ତିର ଗୁଣ୍ଠା!..

ଗାୟିଶିଖାମ ମେରି ଗାଗିଦେଇ, —
ଜୀଜୀନ୍ଦେତଶି ହାଗାନ୍ଦେଇ!..
ସାନାମ ଲୁହ ଗାୟେ—ନେତର୍କରାଲ୍ୟ,
ନନ୍ଦାରିଦ୍ରେ, ନେମନ ମଫରିଦ୍ରେ!..

ଜ୍ୟେଷ୍ଠ କୁକୁରାମ ଗାୟଶିଲେଲା,
କିରମିଶିଯ ଘେଇଲା, ଗାଲାଶିରିଦେଲା,
ଦରାମ ତ୍ୟ ଗତକ୍ଷେତ୍ରେ—ତାମ୍ଭ ଦାସଦ୍ରେ,
ରାତ୍ରା ମୋନ୍ତଶେଲ-ଦା-ନେଲା!..

ଶ. ତନମାନ୍ଦୁ.



ଓ উ র ঙ জ

(ზოაპარი)



 დესლაც—იქნება რამდენიმე ასი წელიწადი—ერთს დიდს
ტყეში სცხოვრებდა პატარა ქალი, სახელად ტურფა.
დედ-მამა არა ჰყენდა. სახლად მუხის ფუტურო გა-
ეჩინა, საჭმელად—ტყის ხილი და სასმელად—წყაროს
წყალი. ამბობენ ძალიან ლამაზი იყოო და ტურფას
სახელი იმიტომ დაურქმევიათ, მაგრამ შეენიჩებაზედ უფრო საკირ-
ველი თურმე ხმა ჰქონდა. რაც ტყეში ფრინველი ბუღობდა ყველა
ტურფას მეგობარი იყო, ყველას უყვარდა მისი გალობა. ფრინვე-
ლებს ტურფას სიტყვა ესმოდათ, ქალსაც მათი შტვენა.

ჩიტებისათვის სამსახური ტურქის არასდროს ეზარებოდა, ხან
ბუჩქებში კაცის დაგებულს მახეს მოშლიდა, ხან ბუდესთან მიპა-
რებულს დედოფალას ან კურნას გალალავდა და ხან ზამთარში სა-
კონკა დაუყრიდა.

ჩიტებს გარდა ყველა ტყის მწერიც—ჭია თუ ბუზან კალი—ტურ-
ფას მოყვარე იყო.

ერთს ზაფხულის დილას ტურფა გზის პირზედ ბუჩქებში შესული-
ყო და მაყვალსა ჰკრეფდა. უყცრად მოესმა დიდი ხმაურობა, ფეხის
ხმა, კვნესა და გინება, იარალისა და ბორკილის ჩხარუნი. მიიხედა
და ერთი საცოდევი სანახავი თვალ-წინ წარმოუდგა. ტყუპ-ტყუპად
შებორკილი მრავალი ტუსალი მოდიოდა. ხამის ტანისამოსზედ ეტყო-

ბოდა, რომ გლეხები იყვნენ. სიარულისა და სიცხისაგან ქანცი გა-
სწყდომოდათ. ბევრი ტიროდა. ზოგი მოხუცი ბორძისით ძლიერ მი-
დიოდა. ვაი იმას, ვინც შედგებოდა! ასი ჯარის კაცი ტუსალებს გარს
შემორტყმოდნენ და ჯოხით ეჩეკებოდნენ.

ტურფამ ეს რომ ნახა, შეშფოთდა. მიეიღა ერთ ჯარის კაც-
თან და ჰქითხა:

— ღვთის გულისთვის მიმარჯ, პატონო, რა დაუშვებია ამ
ხალხს?

— ჩეენს დედოფალს, ქერა ხეარამზეს, არ აძლევენ რაც გა-
დასახადი მართებსთ.

— რა გადასახადი მართებსთ?

— დღლის ნახევარი, ჭინახულის მეოთხედი და ყველა სოფლი-
დან იმდენი ვერცხლი, რამდენიც გუთანი ხნაეს, რამდენიც წისქეილი
უქვამს და რამდენს კერასაც კომლი ასდის.

— ოღონდაც, ხეარამზე დედოფალი უწყალი ყოფილა, თუ ეკ-
რე სხაგრაეს თავის ყმებსაო, — თქეა ტურფამ. — ახლა-კი მესმის: ეს
ნაცემი და ბორკილ-გაურილი გლეხები თურმე იმიტომ არ იძლე-
ვინ გადასახადს რომ ლარიბნი არიან და არა იმიტომ რომ არ უნ-
დოდესთ გადასახადის მიცემა. ეგ ხალხი უბრალო ყოფილა.

— უბრალოა თუ ბრალიანი, იქ-კი უნდა გაურეკოთ, საითაც
ნაბანები გვაქეს.

— ციხეში, განა?

— ჟო, ციხეში. ხეარამზე დედოფალს ციხე დარბაზის ქვეშ ისე-
თი ბნელი საცყრიბილე აქეს... ბაბაჭუებით, ვირთაგვებით და ბაყა-
უებით საესეა. ტუსალები წუმპეში ჰყრიან და ქერის ჰყრის მეტი საკ-
უებად არა აქეთ-რა.

— დიღხანს იქნებიან ჩამწევდეული ეს გლეხები?

— უკუელია, სამ-ოთხს წელიწადს, თუ არ დაუეწყდათ. მა-
შინ-კი...

ტურფამ არღარა გამოჰკითხა და გაჰყა ტუსალებს. ჯერ თავ-

ჩალუნული მიღიოდა, მერე, სკეინჩას გალობა რომ მოესმა, აიღო
თავი და თითონაც დაიწყო მდერა. მღეროდა, რომ აედრის შემდეგ
მზე გამოანათებს და ჭირს სიხარული მოჰყევდათ, რომ კაცმა არა-
დროს იმედი სრულებით არ უნდა გადიწყვიოს. ტურქის ჩხა მსმე-
ნელით გულში სწედებოდა და ნუებშია და სიბრალულს უნერგავდა.
ამიტომაც მოხდა, რომ ტუსალებს ცოტაოდენ დააიწყდათ თავიანთი
გაჭირება, ჯარის კაცებს-კი გული მოელბათ. კარგა დაღამებული
იყო, როცა ტურქი შინისკენ წამოეიდა, მაგრამ გამოსალმების დროს
ერთხელ კიდევ გაამხნევა გლეხები: „გულს ნუ გაიტეხთო!“

ასე ამბობდა ტურქა თავისი გულ-კეთილობით, თუმცა თითო-
ნაც კარგად ესმოდა, რომ ასეთს უბედურობას ძნელად თუ ეშველე-
ბოდა ჩამე და ნალელიანი დაბრუნდა თავის ფულუროში დასძინებ-
ლად.

ორი დღე სიზმრივ თუ ცხადივ, ტურქებს მუდამ თვალ-წინ
ედგა ერთი სანახავი: ბნელი საპყრობილე, სადაც თალიდონ წევთი
ჩამოდიოდა და მიწაზედ დაყრილს კაცის გროვას საზისარი ბაყაყი
და ეირთავები ეხვევოდნენ.

შესამე დღეს, ტურფა ჩომ წყაროს პირზე თავს იყარცხნიდა და
სარკის მაგირ წყალში იყურებოდა, ირემა გაურბინა. უკან მოსდევ-
და გრიგალსავით სულ-დალეული ძალის ხროვა; მერე ოციოდე მე-
ძალე, უზანგზედ წამომგარნი, ჩომელნიც ჭინკებსავით ჰკიოდნენ;
მას შემდეგ მოაჭენებდა ბწყინვალე თავად-აზნაურობა ხელ-შუბია-
ნი; და ბოლოს თეთრ ტაქტედ ქალი თავის მსახურებითა. ქალი
პირ-ქუში და ამაყი სახისა იყო; გაშლილი თმა წითელი ოქროს-
ფერისა ჰქონდა; ფარჩის კაბა ეცვა და მხრებზედ მანდილი წამოესხა,
ერთის შესხვილის აღმასის ლილით შეკრული.

მონადირეებმა რომ ჩაითვას, ტურქებმ იფიქრა: „ეს ქალი უთუ-
ოდ ქერა ხეარამშე დელოვალი უნდა იყოსომ!“

დელოფლის სახელის სსენებაზედ მოაგონდა საკოდავი გლეხები

საპყრობილები დამწყედეული, და თითქმ დედოფალი წინ სდგო-
მოდესო, მუშტით დაემუქრა:

— უი, შე აეგულო! ნეტამც, ნეტამც...

ტურფას უნდოდა დაეწყევლა, მაგრამ რადგანაც თავის ღლები
აეი სიტყვა ჯერ არ წარმოეთქეა, ნატერა ასე დაასრულა:

— ნეტამც დაგარგოდეს ეგ პატიოსანი თვალი, მანდილზე რომ
გასხიაო!

ამაზე უარესი წყევლა ტურფამ ვეღარ მოიგონა. მალე მოშორ-
და წყაროს და გასწია ტყები სახეირნოდ.

შუადღე გადასული იყო, როცა ტურფა ტყისპირს გავიდა და
ერთ სოფელს მიუახლოედა. სოფელს რაღაც არა-ჩვეულებრივი მოძ-
რაობა ეტყობოდა. სოფლელები გარს შემოხვეოდნენ ერთს კაცს,
წითლად ჩატარებულსა, რომელსაც ერთს ხელში ეკალ-მუხის ჯოხი ეჭი-
რა და მეორები—ბუკი. ხელ-ჯოხინმა ჯერ ბუკი დააჭუგირა და მე-
რე ისეთის ხმით დაიღრიალა, რომ ქაომები გაიფანტნენ და ქოხებმა
ზანზარი გაიღეს. აი რასა ყეიროდა ის კაცი:

— ბძანებითა უმაღლესისა, ძლევა-მოსილისა, საკრძალავისა და
უკადრისა დედოფლისა ჩეენისა ხეარამზისითა, ქვეყანისა ამის და მრა-
ვალთა სხვათა ხელმწიფისა, ყევლასა და ყოველსა ვაუწყებთ, რომე
მეფობამან მისმან დაპყარგა დღეს დილით, ნადირობისას, ალმასი,
რომელიც თვალის ჩინის უძვირეს მიაჩნია. ეინცა იპოვის და მიართ-
მეეს მის მეფობას დაკარგულსა მას თვალსა პატიოსანსა, ნება აქეა
ითხოეოს, რასაც მოისურებეს და სათხოეარი იგი მყისე აღესრულე-
ბისო.

თქეა და წაეიდა, ამაყი. სოფლელები დაიშალნენ:—მოდი შენ
და ამ უზარმაზარ ტყები დაკარგული ალმასი იპოვეო! ასე ამბობ
დენ თავის გუნებაში გლეხები და მხრებში იჩეჩებოდნენ.

ტურფამ, როცა გაიგო ქერა ხეარამზეს მანდილის ღილი დაპყარ-
გიაო, ჯერ ვაუხარდა — ნატერა ამისრულდაო, და გულში ჩაეცინა კი-

დეც: — მაღლე-კი არ იპოვნიან იმ პატიოსან თვალს, თუ ჩემს მეტა
მძებნელი არაეინ გამოჩნდაა!

მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ უცათ ჩალაც მოაფონდა და სრუ-
ლებით შეიცვალა აზრი. წამოვიდა ისევ ტყისაკენ და გზა-და-გზა
თავის თავს ეუბნებოდა: — მოსხებნე, ტურფავ ალმასი!

თავის ფულუროსთან-კი ხომ მიეიდა, დაიწყო მღრა:

ჩიტებო, ჩიტუნიებო,
მალე მოფრინდით ჩემთანა!
მიშეელეთ თქვენსა მოყეარეს.
მოდით, ჩიტებო, მოფრინდით!..
ჩერა მოცოცდით, ჭიებო,
მოფრინდით, ბუზანკალებო!—
თქვენცა სჭირიხართ ტურფასა,—
მეგობარს დამეხმარენით.

თქვა თუ არა მუხის გარშემო შეიქნა ჩიტების ფთქრიალი, ქვე-
ით-კი მოისმა ჭიების ფუსფუსი და ყველა ბალახის ნამცეციდან ქინ-
ძისთავისავით მწერტი თვალები იცირებოდა. პატარა ქალმა პირეე-
ლად ბულბულსა ჰკითხა:

მგოსანთ მეფეო, ხომ არ გინახაეს
დედოფლის თვალი პატიოსანი,
ნადირობის დროს აქ დაკარგული?

ბულბულმა უპასუხა:

დაო ტურფაო, მიწას არ დაეცქე
და არ მინახაეს დედოფლის თვალი
პატიოსანი აქ დაკარგული.
მხოლოდ ერთს ეხედავ თვალ-მარგალიტსა,—
ცაში ეარსკელაესა, მოციმციშესა.
მერე ტურფა შაშეს მიუბრუნდა და ასე ჰკითხა:
ლამაზო შაშეო, ნისკარტ-უვითელო!
შენ ხომ არ ნახე დიდი ალმასი

აქ რომ დედოფალს დაუკარგავსო?

და შეშემა მიუფო:

ჩემო სულიყო! აბა საიდან
მეცოლინება თვალის ამბავი?
ეს მთელი დღეა მასხარათ ეიგდებ
საძაგელს ჭოტსა, ჩემს ბუდეს წინა
იულის ხეზედა ამოტუშულია.

სხეა ფრინველებმაც ამაზედ მეტი არა იცოდნენ-რა დედოფლის
ალმასისა. თეთა ყვავსაც თურმე არა ენახა-რა. ცოტა არ იყოს და
ღონდა პატარა ტურფა. მერე ჭიებსა და ბუზანკლებს რომ დაპე-
და, ჭრიჭინობელას თვალი მოჰკრა და დაუწყო ასე მღერა:

ლამაზო ჭრიჭინობელავ!

მითხარი, ეგებ შენ იცი
სად აჩის დიდი ალმასი,
ხეარამზის დანაკარგიო?

ეს რომ თქვა ბალახიდან წერილი ხმა მოისმა:

ჭრი-ჭინ, ჭრი-ჭინ! დიახ ვიცი,
აქეე გდია, ჩემს სახლს წინა,
რეპანსა და კამის შეუ.
თუ ინებე, მიგიყვანო.

— ტყუილად ნუ ირჯები, მე კარგად ვიცი საცაა შენი სახლიო,
— უთხრა ტურფამ და მაშინევ გაიქცა ჭრიჭინობელას ხერელისაკენ.
ნახა ალმასი, აილო, სარტყელში გამოჰკრა და პირ და-პირ დედოფ-
ლის ციხე-დაბაზის გზას გაუდგა. კარგი დალამებული იყო, სამეფო
სასახლეს რომ მიადგა. ბევრს ეხეეწა კარის დარაჯებს,—გამიშეით,
დედოფალს დაკარგული ალმასი მოეუტანეო,—მაგრამ მაინც არ შე-
უშეეს. თქეეს თუ, ახლა დედოფლის ძილის დრო არისო.

— გაშ თუ აგრეა,—თქვა ტურფამ,—აქედანაც გვაღვიძებო.

და მისი უცხო, ტყბილი და ძლიერი ხმა გაისმა ლამის მყუდ-
როებაში:

ଗାଇଲ୍‌ଗିର୍ଜେ, ଡେଲାଫାଲାନ୍!

ପ୍ରୁଣିଦାନ ମୋହେଲ, ପ୍ରୁଣିତା ମଜ୍ଜିବାନ,
ହିନ୍ଦୁରେବିଶ ମେଘବାହିନି...

ଗାଇଲ୍‌ଗିର୍ଜେ, କ୍ଷେତ୍ରାମିଶ୍ରେଣୀ!

ଶାର୍ଦୁଲ୍‌ପ୍ରୁଣିଲ ମାଜ୍ଜେ ଗାମିନ୍‌ପ୍ରୁଣିଲ
ଦାକ୍ଷାର୍ଥଗୁଣି ଶେନି ତ୍ୟାଳି...

ଗାଇଲ୍‌ଗିର୍ଜେ, ଡେଲାଫାଲାନ୍!

ପୁନ୍ଦୁଲ ହରମ କ୍ଷୁଦ୍ର ସିନ୍ଧିମିନିଦିତା,
ପ୍ରମୁଖର୍କବିତ—ମିଶିବା ଶୁଭେବା,

ଗାଇଲ୍‌ଗିର୍ଜେ, କ୍ଷେତ୍ରାମିଶ୍ରେଣୀ!

କାନ୍ଦୁଶି ଫାନ୍ଦୁଶାରା ଗାଇଲା ଦା କ୍ଷେତ୍ରା କ୍ଷେତ୍ରାମିଶ୍ରେମ ପ୍ରିତିବା:

— ଏହ ବୀଶ ବେଳ ମେହିବିଶ ଶାର୍ଦୁଲିବା? ମେହିବାନା ତୁ ମାରିଲା ମୋହା-
ଦା ବୀନିମ୍ବ ଦା କ୍ଷେତ୍ରି ମାନଦିଲିବି ଲିଲାରେ କ୍ଷେତ୍ରି ମାନାରା?

— ଏହା ମାନ୍ଦ୍ରେ ଶେନି ଅଳମିବାନ,—ତ୍ୟାର ପ୍ରୁଣିତା,—କ୍ଷେତ୍ରା, ହରଗର
ପିଲାଙ୍କିନୀଙ୍କ?

ତୁମିପା ଏହ କ୍ଷେତ୍ରାମିଶ୍ରେଣୀ, ମାନ୍ଦ୍ରାମ ଡେଲାଫାଲାନ୍ ତିତିନି ହାମିନଦାନ-
ଦା ପ୍ରିଶ ଲାକରିବାନିବି କାରାମିଦ୍ରେ. ତାନ ଆକଳନ୍ତେ ରୂପିଦ୍ରେନିମ୍ବ କିରିବେ-ପାର୍ଶ୍ଵି
ଶି କ୍ଷେତ୍ରାକର୍ତ୍ତବ୍ୟବିତା. କ୍ଷେତ୍ରାମିଶ୍ରେ ମିହିଦା ପ୍ରୁଣିତାଶତାନ, ଗାମିଶତାପ୍ରାପ୍ତା କ୍ଷେତ୍ରି-
ଦା ଅଳମିବାନ ଦା ପ୍ରିତିରା:

— ଏହା ତ୍ୟାର, ଗର୍ବନନ୍ଦା, ରାଜନୀବି ଶେନି ନାମ୍ରତା ଦା କ୍ଷେତ୍ରା ଶିତ୍ୟ-
ବାଦ ଗାମିନ୍ଦେ, ଅଗିବେଶିଲା.

— ଶିତ୍ୟଦିନିବି, ଡେଲାଫାଲାନ୍, ଅମ୍ବରୀ ଦା ଗାନାତାମିଶ୍ରେ ପିଲାଙ୍କିନୀ
ଶେବି ଶାର୍ଦୁଲିବିଲ୍‌ଶି ହରମ ଗ୍ରୀବା ଲାମିଶ୍ରେଦ୍ୟପୁଣ୍ୟଲାଭି.

କ୍ଷେତ୍ରା କ୍ଷେତ୍ରାମିଶ୍ରେ ପାହିବି ଶେଇରା, ଶେଇବା ଏହି ପାହି ଦା ବିନା:

— ଗାନାତାମିଶ୍ରେ ପିଲାଙ୍କିନୀ ପ୍ରୁଣିତା ପାହିବି ପିଲାଙ୍କିନୀ ଶାର୍ଦୁଲିବିଲ୍‌ଶି
କାର୍ଯ୍ୟବି, ଡେଲାଫାଲାନ୍ ଶିତ୍ୟବାଦ ଗାମିନ୍ଦେବି?

ଏହା ଶିତ୍ୟବାଦ ଗାମିନ୍ଦେବି.

გაბრიელ ეპისკოპოზი და დიაკონი.



რო დილის იმერეთის მღვდელ-მთავრის გაბრიელის სადგომის ეჭოში შემოეიდა ერთი სოფლის დიაკონი, რომელსაც იღლიაში ფეხებ შეკრული ინდოური ჰქონდა ამოჩინილი და ხელში დოქით ლეინო ეჭირა. დიაკონს მღვდელ-მთავარი თავის დღეში არ ენახა და ახლა მასთან სათხოენელათ დიდის კრძალვითა და შიშით მოღილდა.

როდესაც სადგომს მიუახლოედა დაინახა ერთი სულიერი პირი, რომელსაც უბრალო კაბა ცეცა და შეშას ხერხავდა. დიაკონმა იფიქრა, ეს უთუოთ მღვდელ-მთავრის კელვნიერა და შემდევი თხოვნით მიმართა:

— მღვდელ-მთავრის ნახეა მინდა და, თუ შეიძლება, მოახსენე მიმართოს.

— ახლავე. შეჩ წადი, იქ, აიგანთან დაიცადე, მოვახსენებ და მავიღებსო. — მოუგო ლიმილით მხერხაემა, თავი დაანება ხერხეას და წაეიღდა სადგომისაკენ.

დიაკონი მიერდა აიგანთან, ფეხებ-შეკრული ინდოური და დოქი ძირს დადეა და ელოდა მღვდელ-მთავრის გამობრძანებას. გაიღო კარი და აიგანზე გამოეიდა იყიდე შეშის მხერხაეთი ეპისკოპოსის ანაფორაში და პანაგით გულზე. გადასახა დიაკონს ჯეარი და ხელზე იმოხერა.

საბრალო დიაკონის ყეითელმა ფერმა გადაჭირა. საშინლათ შეეშინდა. აბა რას იფიქრებდა, რომ შეშის მხერხაეთი თითონ გაბრიელი იქნებოდა!

— რა გინდა, შე საწყალო, რაზედ მოსულხარ? ჰკითხა მღვდელ-მთავარმა.

— წერილ-შეილის პატრინი გახლავარ, ბატონი! გამიჭირდა ცხოვრება და გთხოვთ უკეთესს მჩეულში გადამიყენოთ.—მოახსენა ხმის კან კალით დიაკვანმა.

— ძლიერ კარგი, მაგრამ ეს ინდოური და ლეინო ეისთეის მოგორინა?

— მომიტევე, უოელად სამღვდელოვ, თქეენი საკადრისი მეტი ეერაფერი მოვახერხე. თავს იმართლებდა დიაკვანი.

— განა არ იცი, საცოდავო, რომ მე ძღვენს არ ეილებ? თუ კი გაჭირებული ხარ, ის არა სჯობდა სახლში მოვეხარა?

— რა ვქნა, ბატონი, ჩეკებური ჩეკულება ეს გახლავთ.

— არა, შეილო, წაილე უკანევე და შენს ბავშებს აჭამე.—უბრძანა მღვდელ-მთავარმა.

— ნუ გამირისხდები, ბატონი, ვიცი, რაც გეკადრებოდა, მაგრამ მეტი არა გამაჩიდა-რა.

მღვდელ-მთავარს შეებრალა უვიცი დიაკვანი, არ უნდოდა რომ შეერცებინა და უბრძანა:

— მაშ კარგი. მე ამ ძღვენს მიეიღებ, მხოლოთ კელავ აღარ გაბედო რესამე მოტანა. ნაცელათ ეს ფული წაილე და შენს ბავშებს უყიდე რამე.—ამ სიცუკებით ხელში ჩაუდო სამ მანეთიანი ქალალ. დის ფული და დაუმატა:

— ვინ არის შენი ბლალოჩინი?

დიაკვანმა დაუსახელა.

— კარგი, წადი ახლა და, როცა შენს ბლალოჩინს ენახავ, ეუბრძანებ კარგი ადგილი მოგცესო.

საბრალო დიაკვანი გახარებული დაბრუნდა შინ და მართლაც დიდხანს არ გაუველია, რომ წადილი ალუსრულდა.

პ ე რ ს ე უ ს ი.

(ოვადიუსი)



რგიეთა მეფეს, აკრისის, ღმერთებშა უწინასწარმეტყველეს, რომ შენ ქალს, დანაის, შეეძინება გაფიშეილი, რომელიც შეილდისრით სასიკედილოთ დაგჭრისო. აკრისი ძლიერ შეაშინა ღმერთების წინასწარმეტყველებამ. სიკედილი რომ თავიდან აეცილებინა მეფეებ თავისი ლეიძლი-შეილი, დანაი, საპყრობილები ჩამწყედია. დანაის საპყრობილები შეეძინა შესანიშნავი გაფიშეილი—პერსეფისი.

მეფის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა. ღმერთების წინასწარმეტყველება რომ არ გამართლებულიყო, აკრისიმ გადასწუყიტა თავისი ქალისა და შეილი-შეილის დალუპება. მეფის ბრძანებით დანაი და პერსეფისი სკიერში ჩამწყედიეს, მაგრათ დაუჭედეს თავი და ასე საბრალო დედა-შეილი ზღვის უფსკრულში შეაცურეს. დანაი თაერსი საყვარელი პაწია შეილით დიდხანს და დიდხანს დასცურავდა ზღვის აბობოქებულ ტალღებში და ბოლოს, დიდის გაჭირვების შემდეგ, აზეირთებულმა ზღვის ტალღებმა თაე-გადაჭედილი სკიერი სკრიფტის კუნძულის ნაპირას გარიყა.

ზღვის ნაპირათ გამორჩეული სკიფი შენიშნა სერიფის კუნძულის მეფის პოლიდექტოს ძმამ—დიქტისმ, რომელიც სწორეთ ამ დროს ზღვაზე სათევზაოთ გამოსულიყო.

დიქტისმ დედა-შეილი დაუყოვნებლივ მეფეს მიგვარა. პოლი-დექტი დიდის აღტაცებით მიევება ასეთ მოულოდნელ საჩუქარს. დანაი და პერსეუსი მეფემ სასახლეში მოათავსა და მზრუნველობით შეუდგა მათ მოელა-პატრონობას. პერსეუსი შეილივით შეიყვარა და საფუძვლიანი სწავლა-განათლებაც მისცა.

პერსეუსი დავაჭყაცდა. მთელ სახელმწიფოში უკეთესი ვაჭყაცი იშვიათათ მოიძებნებოდა. ის დიდის სიყვარულით და პატივის-ცემით ეპურობოდა თავის აღმზრდელ მეფეს. მაგრამ, სამწუხაროთ ეს სიყვარული ხანგრძლივი არ გამოდგა.

მეფე პოლიდექტიმ განიზრახა დანაიზე ჯვარის დაწერა. პერსეუსმა მეფის ასეთი განზრახვა ძრიელ ითაკილა და ყაველგვარ ღონისძიებას ხმარობდა ეს განზრახვა როგორმე ჩაეშალა.

მეფემაც თავის მხრით განიზრახა მოწინააღმდეგე პერსეუსის სამუდაომოთ თავიდან მოშორება და ამიტომ დაუალა მას მეღუზს თავის მოკვეთა. პოლიდექტი სრულიად დარწმუნებული იყო, რომ მეღუზას თავის მოკვეთა შეუძლებელია. ვინც-კი საამისოთ გაკაღნერდებოდა, სიკედილს ვერ ასცდებოდა, მეფესაც სწორეთ ამისი იმდი ჰქონდა, როდესაც პერსეუსს ასეთს შეუძლებელ საქმეს აეაღებდა.

სუეინო, ერიალა და მეღუზა, ეს სამი საშიშარი გველეშაპ-ქალები, ცხოვრიბდენ დასაელეთით, ჯოჯოხეთის სამეფოში. მეტათ საშიში, გულის-შემზარეუ შეხედულება ჰქონდათ. ვისაც-კი მისწერებოდა ამ საშინელ გველეშაპ-ქალთა სახის გამომეტყველება, ყოველ სულიერს უმალევ ქეთ აქცევდა. გველეშაპ-ქალებთან მიმავალ გზას იცავდენ სამი მეტათ საშიში მოხუცი ქალები, რომელთაც მხოლოდ ერთი თეალი და ერთი კბილი ჰქონდათ.

პერსეუსი უშიშრათ გაემგზავრა გველეშაპებთან. გადაწყვეტილი ჰქონდა ან სიკედილი ან გამარჯვება. ახალგაზრდა გმირს ღმერ-

თებიკ ხელს უმართავდენ ამ სამძიმო საქმის კეთილათ დაგიტვებინებაში. ეპრეზესმა თაფ-განწირულ გმირს აღმასიერი ბასრი ხმალი მიუძღვნა, ათინა პალადამ ბროლივით მ.ელევარე ფარი, წყლის ქალ-ლმერთებმა ფრთხებით შემკული საფეხურები, რომლის საშუალებით ჰაერზე სიარულიც შესაძლო იყო.

ასე მედგრათ შეიარაღებული პერსეუსი გველეშაპთა სამფლობელოს მიუახლოედა. იმ დროს, როდესაც პერსეუსი ჯოჯოხეთის სამეფოში მოეიდა, საზიზლარ გველეშაპ-ქალებს ეძინათ. ახალგაზდა თაფ-განწირულმა გმირმა ბასრის ხმლის მოქნევით დაუყოვნებლივ მოჰკვეთა თავი მაღუზას და ქალ-ლმერთებისაგან გამოტანებულ ტო-მარაში გადისროლა. გველეშაპთა პირისახე, რომ არ დაენახა და ქათ არ გადაქცეულიყო, პერსეუსი მედუზას თავის მოკეთის დროს ათინა პალადის მიერ ნაბიძებ ფარის იშველიებდა.

პერსეუსმა მოიმარჯვა ფეხებზე ფრთიანი საფეხურები და დაუყოვნებლივ უკანე გამობრუნდა. როდესაც ლიბიის უდაბნოს მოატანა, მედუზას თავიდან რამდენიმე სისხლის წევთი მიწაზე დაეცა. იმ ტროდან მთელს ლიბიაში ბლომათ გაჩნდენ შხამიანი გველები და გველეშაპნი, რომლებიც ყოველ ფეხის-გადადგმაზე საზიზლართ ფუსტურიბდენ. სალამის ჭამს პერსეუსმა მიაღწია ატლანტის სამეფოს. აქ ახალგაზდა გმირი მიწაზე დაეშვა. მეფე ატლანტის სიმილრე კიდითი-კიდემდე განთქმული იყო. უთვალავი ჯოგი დაუდი-ოდა მეფეს მთელს სახელმწიფოში. ატლანტის შშენივრათ გაშენებული ბაღები თვალ-უწვდენელ სიერცეზე გადაჭიმულიყვნენ. განსაკუთრებით შესანიშნავი იყო ერთი ბაღი, რომელშიაც ხარობდა ოქ-როს ტოტებიანი, ოქროს ფოთლებიანი და ოქროს ნაყოფიანი ვაშ-ლი. ატლანტის ძეელათ ჰქონდა გაշონილი, რომ ოდესლაც ამ ბაღს ესტუმრება ლმერთების მამათ-მთავრის—ზევსის შეილი და ამ ხიდან ოქროს ვაშლებს დაჲკრეფვესო. მეფეს ძრიელ ეშინოდა ამ ხმისა და ამიტომ მთელი ბაღი მაღალის და მიუვალის კედლებით შემოაზღუდეინა. ამ ბაღის უმთავრესი მოვლა-პატრონობა ჩაბარებული ჰქონ-

და უზარმაშარ გველეშაპს, რომელიც გარეშე-პირს თქროს ვაშლებიან ხესთან ახლოსაც არ აკარებდა.

ატლანტმა გაიგო თუ არა პერსეუსის სამეფოში მოსელა, გადა სწყვიდა, სწორეთ ახლა აღსრულდა ძელი თქმულებათ და პერსეუსს გადაჭრით უარი უთხრა, ჩემს სამეფოში ბინას ვერ მოგცემო, ღამეს ვერ გაგათვევინებო. საქმე ისე გამწვავდა, რომ ატლანტიმ პერსეუსის სამეფოდან გასაძევებლათ ძალა-დატანებაც-კი განიზრახა. პერსეუსმა დაუყოვნებლივ ამოიღო ტომრიდან მედუზას თავი და მეფეს დაანახეა და უმალევ ქვიან მთათ გადააქცა; მეფის თავი მთის მწერებალოთ გადაიქცა, მხრები და ხელები მთა-გრეხილებათ, ხოლო წყერ-ულეაში და თმა—მიუვალ და დაბურულ ტყებათ. უზარმაშარია ეს მთა; მისი უმალესი მწერებალონი ცას ებჯინებიან. მთელი ცა, მოკაშაშე ვარსკელევებით ატლანტის თვალ-უწვდენელ მწერებალოს დაჰკაშაშებს. იმიერიდან ეს მთა—თავისი მთა-გრეხილებით საიმედო ბურჯათ გამხდარა მნათობთა სამყაროსთვის.

მეორე დღეს, დილით აღჩე, პერსეუსმა კულავ განაგრძო ჰაერით მოგზაურობა. მშენიერი ამინდი იყო. კარგა ხნის მოგზაურობის შემდევ პერსეუსი მიიღდა ათიოპიაში, კეიფისის სახელმწიფოში. კეიფისის მეუღლემ—კასიოპეამ ერთხელ თურმე დაიკეცხა: მე ყელა წყლის ღმერთების ქალებზე ულამაზესი ვარო. კასიოპეას თეგასულობამ მეტათ განარისხა წყლის ქალ-ღმერთები და ყოველგვარ ღონის-ძიებას ხმარობდენ ამაყი მომაკედეთა შეილი საყრდნობლათ დაესაჯათ.

ქალ-ღმერთებმა შესჩერდეს პოსეიდონ ღმერთს თავისი მწუხა-რება. პოსეიდონმა კეიფისის სახელმწიფოს დასასჯელათ მოუკელინა გველეშაპი, რომელიც ღრიო-გამოშევებით გამოდიოდა ზედის ნაპირათ და არ ინდობდა არც აღამიანს და არც ცხოველს. ხალხი მეტათ შევიწროვდა. შიშის ზარი ტრიალებდა მთელს სახელმწიფოში. ხალხის განსაკლელისაგან გადასარჩენათ, ღმერთების ბძანებით, კეიფის თა-

ეისი პირმშო ქალიშეილი—ანდრომედა უნდა გაეცეტებინა და მიეცა გველეშაპისათვის. ხალხმა გაიგო თუ არა ღმერთების ასეთი სურეი-ლი დაუყოვნებლივ აძლევა მეფე და დედოფალი ამ სამძიმო მსხვერპ-ლის შესაწირავათ. საბრალო ანდრომედა მიაჯაჭვეს ზღვის ნაპირათ პიტალო კლდეზე.

პეტერესიმ დაინახა თუ არა კლდეზე მიჯაჭვული ანდრომედა, საჩქაროთ მიიჭრა საბრალო ქალის ეინაობის გასაგებათ. ანდ-რომედას კალმით აუწერელმა სილამაზემ ერთბაშათ მოხიბლა პეტ-ერესი. საბრალო ქალი უშმიოთ იცრემლებოდა და მთელის სხეულის ცანკანით ყოველ წამს მოელოდა გაუმაძლარ გველეშაპს. პეტერესმა გამოჰკითხა ანდრომედას კლდეზე მიჯაჭვის მიხეზი და, როცა ცვე-ლაფერი გაიგო, გადასწუყიტა გველეშაპთან შებრძოლება და უდანა-შაულო მსხვერპლის განთავისუფლება.

უეცრივ ზღვის ნაპირიდან მოისმა წყლის საზარელი შხუილი. ტალღები მთებიერით იმურთებოდენ. ზღვის ნაპირს ელევს სისწრა-ფით უახლოედებოდა უზარმაზარი, ტანში ურუანტელის მომგერელი გველეშაპი. სახელმწიფოს მთელი მკეიდრი შიშის ზარმა მორცა. საბრალო ანდრომედა ეერხების ფოთოლსაენთ თრთოდა. მწერალე შშობლები გაეშურნენ თავიანთ პირმშო ქალთან, მაგრამ განა შვე-ლა შეეძლოთ!

პეტერესმა მოიმარჯვა ბასრი ხმალი და ისე მძლავრათ დაჭრა მკერდში საზიზლარ ცხოველს, რომ შევი სისხლის შადრევნები ცასა სწვდებოდა.

გველეშაპთა ერთი საზარლოა დაიგრევინა და ზღვაში გადაეშეა. ზღვა ერთბაშათ შევი სუდარით დაითარი. ერთი წამიც და ეს ჯო-ჯოხეთის საზიზლარი ქმნილება სამუდამოათ ზღვის უფსკრულისაკენ დაეშეა.

აუწერელი იყო მთელი სახელმწიფოს მკეიდრთა სიხარული და ალტიცება. ცველანი ფრა-ლ ხეილით ულოცაედნ ქვეყნისათვის თავ-

დადებულ გმირს სასახელოთ გამარჯვებას. აუწერელი იყო, განსაკუთრებით, კეიფეისა და კასსიოპეის სიხარული თავის პირშობ ქალის სიკედილისაგან გადარჩენის გამო.

ანდრომედას სიხარულისაგან აღმასიერით ცრემლები ნაკადულებრი ჩამოსდომადა ზროლიერით უმტკერო გულ-მკერდზე. პერსიუსიმ მიულოცა კეიფეისა და კასსიოპეის პირშობ ქალის სიკედილისაგან გადარჩენა და ამასთანავე განუცხადა თავისი სურეილი—ანდრომედასთან შეულლებისა. შშობლები და მასთან მთელი სახელმწიფებულის მკეიდრნი დიდის აღტაცებით მიეგებდნ პერსეუსის განზრახეას და დაუყოვნებლივ გააჩალეს დიდებული სამეფო ქორწილი.

სამური ეოოლინოს მომხიბლავი ხმები ატებობდენ სტუმართა ყურთა-სმენას. სიმღერა, ცეკვა თამაში და განუსაზღვრელი შხიარულება ტრიალებდა საქორწილო დარბაზში. სტუმრები შხიარულათ უსსდენ საქორწილო ტრაპეზას და სტებებოდენ პერსეუსის და ანდრომედას უსაზღვრო ბედნიერებით.

უეცრიე საქორწილო დარბაზში გაისმა მეომართა ხმაურობა. მეფის ძმა ფინიუსი ჩამდენიმე შეიარაღებული მეომართ შეიჭრა სასახლეში, ანდრომედას მოსატაცებლათ. ფენიუსის ანდრომედა უყვარდა და განზრახეა ჰქონდა, ანდრომედა მოეტაცა და თითონ დაეწერა ჯვარი.

საქორწილოთ თავ-მოყრილი საზოგადოება უკელა შეაშეოთა უენიუსის სამარცხეინო საქციელმა. პერსეუსი შეებრძოლა მეომრებს და უკელანი მეღუზას თავის საშუალებით ქვებათ აქცია.

ამას შემდევ პერსიუსი ახალია ჯვარ-დაწერილი ცოლით სერიფოს კუნძულისკენ გაემგზავრა, საღაც მეუე პოლიდექტი ქვათ აქცია და ამნაირათ გაანთავისუფლა თავისი საყვარელი დედა დანაი. სერიფოს კუნძულის მართვა-გამგეობა პერსიუსმა დიქტისის გარდაცა და თეითონ სამშობლო არგოსში დაბრუნდა.

აკრისიმ, გაიკო თუ არა შეილი-შეილის სამშაბლოში დაბრუ-

ნება, უმაღლეს დასტოეა თავისი სახელმწიფო. მაგრამ, სამწუხაროთ, აკრისის მაინც არ ასტყა ღმერთებისაგან ნაწინასწარმეტყველები ბედი.

ერთხელ ლარისს ქალაქის მეფემ მეჯლისი გამართა. მეჯლის-ზე პერსეუსიმ ისრით უცაბედათ მოჰკლა აკრისი. როდესაც პერსეუსმა გაიგო აკრისის ვინაობა, შესაფერის პატივის-ცემით დაასაფლა. ვა არგიერთა ყოფილი მეფე.

არგიერთა სამეფო პერსეუსმა გადასცა ერთ-ერთ ნათესავს. თეო-თონ-კი ტარინოფიას სამეფოს მართვა-გამგეობას შეუდგა.

ა. უუმისთაკედი.



პ ა ც ი - ჭ ა მ ი ა ხ ე .



ჩემო პატარა მკითხველები, ამ სათაურს რომ წაიკითხავთ, რა თქმა უნდა, გაიო-ცებთ. ამას მეტყველი: კაცის მჭამელი მგე-ლი გაგვიგონია, მელა და კიდევ სხვა გა-რეული ნადირები, მაგრამ ხემ, უსულო სა-განმა, რომ კაცი შექამოს, არ დაერჯე-რებთ, შეუძლებელიათ, მეტყველ განა? ამა ყური მიგდეთ,

ნასწარებმა კაცებმა ისეთი მცენარეები აღმოაჩინეს, რომელნიც, მართალია მთელ კაცს ეერ მოერევიან შე-საჭმელათ, მაგრამ იმისთანა მწერებს, როგორც ბუზი, კოლო და მი-სი გვარი სხვებია, თუ მოიხელეს, ცოცხალს არ უშევებენ. ბუზი ან სხვა პატარა მწერი თუ ამ გვარ მცენარის ყვავილს დაჯდა, მაშინ მშეიღობით ცოლო და შეილო, ყვავილი შეიკვრის და მსხვერპლი მახესავით შიგ მოემწყველევა. მცენარე სასხლს სულ ერთიანათ გამო-სწუწნის და ცალიერა კანი-და დარჩება. ასეთ მცენარეს რომ ხორცის პატარა ნაჭერიც ჩაუგდო, იმასაც ბუზსავით შეექცევა.

ამ ჯურის მცენარეს სხვა სახელს ერთას დავარქმევთ, თუ არ ხორცი-ჭამიას.

ამისთანა ხორცი-ჭამია მცენარეს თქვენი ჭირიმც წაულია, ბუზ-ზე და კოლოზედაც იოლათ გაივლიან, და გულითაც რო უნდოდეთ,

სხეა დიდ ცხოველებს ეერა, დაკლებენ. მაგრამ საქმე ის არის, რომ ზოგი ისეთიც არის, კაციაც არ ინდობს. საჭარელი წარმოსადგენია, მაგრამ ავრე-კია და!

კაცი-ჭამია ხე მაღაფასკარში (აფრიკაში) ხარობს. იმის მაგიე-რიათ, რომ სადაც მოაწრონ, მოჰჭან, იქაუჩი მცხოვრები თაყვან-სა სცემენ, როგორც ჩვენ ღმერთსა ესცემთ ხოლმე თაყვანს.

ამ ხეს, როგორც სხეა ხორცი-ჭამია მცენარეს, ერთ გვარი სქე-ლი სიოთხე გამოიუდის,—სუნი თაფლისა აქეს, გემრიელია და კაცი ჩქარა ათრობს. იქაუჩი მცხოვრები ძალან ეტანებიან ამ სასმელა და ვინც ამ ხის მოვჭას გაშედავს, ცოტხალს არ გაუშევებენ.

საკეირელი ის არის, რომ სადაც ეს საოცარი ხე ხარობს, მცხოვრებიც საოცარი არიან. ხორცის კანი შევი აქეთ, მათი ტა-ნის სიმაღლე მა-ჭ გოჯა არ აღმატება. შიშვლები არიან და კლდის გამოქვაბულებში ცხოვრობენ.

თეითონ ამ კაცი-ჭამია ხეს, რომელსაც ეს ველური ხალხი აღ-მერთებს, ერთი მოკაუჩი ასე აგეიწერს:—სიმაღლე 8 ადლამდე აქეს, სიმსხო სიმაღლის შესაცერი, შავი-ფერისაა, უფრო რკინის-ფერი გა-დაპურავს, და ასე ვფექრობთ, რომ რკინიავე სიმაგრისა უნდა იყ-ვეს. ხის მოყვანილობა შავრის თავსა ჰკაეს, მაღლოთ მსხვილი ნა-წილი ზევითაა ამართული, ხოლო წვრილი-კი ქეევით. ხე წეერში ორი ადლის სისქისაა. აქედან გამოიშეერილია და მიწას ეკარება 8 დიდი ფოთოლი. ფოთოლი ბოლოში წერილია, შემდევ-კა ბრტყელ-დება. სიგრძე 11—12 ადლამდე აქეს, სიკე დაახლოვებით ორ ად-ლამდე, სიგანე 3-მდე. ბოლო წეეტიანი აქეს, ხარის რქას მიუგავს, რომელსაც ზედა-პირი ამობურთული აქეს, ხოლო ქედა-პირი ჩა-ვარდნილი.

ამ დიდ ფოთოლებს ზემოდან ჰაერში აშეერილია 6 გაუხავებუ-ლი შოლტები, რომელნიც თეალ-უწვევენელის სიპალლით იკრუნჩე-ბიან და მერე ისევ იმართებიან. მეტის მეტი წერილი და ბუმბულ-საეით მსუბუქები არიან. სიგრძე 6 ადლამდე აქესთ. როცა ისინი

მოძრაობენ და ყურს უგდებთ, გველის სისინი გაგონდებათ და ტან-ში ქრისტელი გველისთ. თითქოს რამდენიმე გველი გისმეს კულით დაუბამს და სისინებენო.

იმ მოგზაურს, რომელიც ამას აგვიწერს, ისიც უნახავს მკოდა-სელებმა ამ საზარელ ხეს ხელში როგორ ჩაუგდეს ერთი ქალი.

ყველანი მახვილებით იყვნენ შეგარალებულები და ყეირილით ხეს გარშემო უელიდნენო—გვიამბობს მოგზაური—გამოიყვანეს ერთი ქალი და ხეზე შესვეს. შუამდე რო მიეიდა, საწყალმა ქალმა გადმოხტომა შო-ინდომა, მაგრამ ამ დროს ქვეშიდან ყველ-მ შუბები შოულერეს და შესძ-ხეს: „სასმელი დალიე, სასმელი დალიო!“ ქალმაც ხის წვენი ერთბა-შათ დალრა. ცოტახანსაც არ გაუელია, სასმელმა გონება დაუკარგა, გათამაშდა და გვეიცე კენწეროს მოექცა. ამ დროს გველის მსგავსი ეკლებიანი წვერები ტანზე შემოერტყნენ. მიწაზე ჩამოშვებული ფოთ-ლებიც ზეეთკენ აიმართნენ, ერთმანეთს შეიძროთ მიკერენ და საწყალი ქალი შუაში მოიქციეს. ქვედა ფოთლების ამრთვაზე ხისა-გან ამ ფოთლების შოლოებთან წვენმა დენა იწყო. ველურმა კა-ცებმა ღრიანცელი ასტეხეს და ერთი თავის მტერევით და ვაი-ვუით ხეზე აეარდნენ და დაუწაფნენ თავის საყარელ სასმელს, რომელსაც თან ხისგან დამხნევალ დედაკაცეს სისხლიც ერია. როცა გული იჯე-რეს სმირ, ქვეეთ ჩამოვიდნენ და, ერთ საათსაც არ გაუელია, რომ დამთერალები ერთმანერთზე კერახებრეით დაეყარნენ.

ამ სურათის მაყურებელ მოგზაურს, რა თქმა უნდა, გულმა ვერ გაუძლო მათთეის ეყურ ებინა და საჩქროზე განშორდა.

თქვენც დამეთანხმებით, პატარა მკითხველებო, რომ ძნელი სა-ყურებელი იქნებოდა იმ ხალხის ცეკვა, რომელიც თავის გაუმაძლ-რობას თავისსაეც მსგავს აღამიანს ანაცეალებსა!



გასართობი.

სათამაშო ომიანობა.

ეს ომიანობა იმართება ამგეარათ: აქეთ და იქით ორ მებრძოლთა მოსათავეს ბლათ, ერთი-ერთმანეთის პირ-და-პირ მიწაზე შემოხაზევენ კარგა დიდ ადგილს—ერთმანეთზე ორმოცი ნაბიჯით მოშორებულს და დაარქმევენ თითო ქალაქის სახელს. ამ ქალაქების შუა ადგილსაც ორად გაჰყოფენ, აგრეთვე ხაზით. ერთი ადგილი ეკუთხის ერთ ქალაქს მეორე მეორეს. ერთის სიტყვით ხაზი მათი საზღვარია. შემდეგ მოთამაშენი ორათ გაიყოფებიან და თითო ჯგუფი თითო ქალაქში დაბინავდება.

უკელა მოთამაშეებს უჭირავთ თითო ბაირალი, რომელსაც უკელა თაეის ქალაქის გარშემო შემოხაზულზე დაარკობს. ამნაირათ ორივე ქალაქის მეომარნი მზათ არიან საომრათ.

ერთი ჯგუფის ბაირალი ფერით უნდა განირჩეოდეს მეორე ჯვუფის ბაირალისაგან. ამას გარდა უკელა მოთამაშემ თავ-თაეის ბაირალს უნდა რამე ნიშანი დაადოს. მაგალითათ თაეისი სახელის პირ-ველი ასო, ან რამე რიცხვი, რომ ამხანაგის ბაირალისაგან განირჩეოდეს.

ამირჩეული ამხანაგი დასტოებებს წრეზე დარწობილ ბაირალს, შეეარდება მოწინააღმდეგეთა ბანაკში და ცდილობს, რომელიმეს ბაირალი ისე მოსტაცოს, რომ მოწინააღმდეგებ ერ მოასწროს მისი გამურეა, (ან მელით გასცრა) მანამდის მტრების საზღვარს (წრეს) გადმოეიდოდეს. მოწინააღმდეგეთაგანი-კი ზოგი ცდილობს მომტაცებელს

ბაირალი წართვეს, ან თითონ გამუროს, ზოგი მისი ბაირალის მოტაცებას ცდილობს. ამხანაგებიც თან ბაირალის მომტაცებლის ბაირალს იცავენ და თან ყოველ ლონისძიებით ცდილობენ მოწინააღმდეგეთა გამურებას.

თამაშობის დაწყების წინეთ მოთამაშეები ერთმანეთში ანაწილებენ თუ ვინ ბაირალი მოიტაცოს, ვინ ბაირალს ყური უგდოს და სხვ.

წესი: 1) თუ მოწინააღმდეგე მოიტაცებს ბაირალს და გასცილდება ქალაქებს შუა დანიშნულ ხაზს, გაშინ იმის დევნას თავს დაანებებენ, რადგან ის უკეთ თავიანთ სამფლობელოშია. ის გულდემშეიდებით ჩაარჭობს ბაირალს ქალაქის გარშემო წრეში და მისი პატრონი-კი უკეთ ტყელება და იძულებულია წრიდან გაედეს და ქალაქს გარეშე დარჩეს.

2) თუ მეომარი გამურეს დატყელებულათ ითელება და რა აღგილსაც გაიმურა იმ აღგილს უნდა გაჩერდეს მანამდის საჩამ ერთერთი ამხანაგი ხელზე ხელს არ დაარტყავს, ამაში ხელს უშლიან მოწინააღმდეგენი, თუ მოახერხეს ხელზე ხელის დარტყმა მაშინ ტყე თავისუფალია.

3) მურით გასერა მოწინააღმდეგისა აღარ შეიძლება თუ ის თავის საზღვარს გადასცილდება. და თუ ეს ვიზშემ მოიქმედა მაშინ ისიც გამურულათ ითელება. მოკელა ამ თამაშობაში არ არის. ამხანაგი მხოლოდ იმითი ისჯება რომ წრიდან დროებით გადის.

4) თუ ამხანაგებმა მოახერხეს და მოტაცებული ბაირალი ისევ მოიტაცეს მაშინ მისი პატრონი თავისუფალია და ისევ ჩადგება მეომართა რიცხვში.

5) ის ჯგუფი, რომელსაც ნახევარს ბაირალებისას წაართმევენ ნახევრათ დამარცხებულია და შეუძლიან შერიგება ითხოვოს. თუ ყველა ბაირალები წაართვეს — მაშინ-კი დამარცხებულია და ომიც გათავებულათ ჩაითელება.



9/20 L 4-2

សាខាបន្ទូល
សាខាបន្ទូល

